N174/3296/ 17 ნოემბერი 2015 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## რატომ არის „ნიმესილი“ სასიკვდილოდ სახიფათო და რა რაოდენობით შეიძლება მისი მიღება, რომ თავი საფრთხეში არ ჩაიგდოთ?

6

## ნარმანიამ 2016 წლისთვის თბილისი საცობებისთვის განწირა

7

რამდენი მილიონი მოაკლო მერიამ საცობების პრობლემის მოგვარებას?



## ფინანსთა სამინისტრო მოსახლეობას კომერციული ბანკების სასარგებლოდ ვალებს ჰკიდებს!

4

რისთვის ისესხა ხადურის უწყებამ 419 მილიონი?



## როგორ განკურნა პატრიარქმა სიმსივნისგან კახი კავსაძე — დაუჯერებელი ამბავი

5

სპეცსამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდას, „ოცნებას“ ურჩევნია, ხალხს საკუთარი თავის დაცვის საშუალება მისცეს და იარაღის ტარება დაუკანონოს!

8

## მამა ელიზბარი: „ხელისუფლებაში ამ „ქართულ ოცნებას“ რომ ვუყურებ, არაა ეს ის ქვეყანა, რაზეც ჩვენ ვოცნებობდით“

13

რას ამბობს პრეზიდენტის ათონელზე გადასვლაზე ავლაბრის რეზიდენციის პროექტის ავტორი?

12

## პოროშენკო სააკაშვილის თანამდებობიდან განთავისუფლებას აპირებს?

11




## ვახტანგ მაისაია: „ამ ჯგუფების მიზანია დივერსიების მოწყობა, თვითმფრინავების აფეთქება, ევროპასა და კავკასიაში ტერორისტული შეტევების მომზადება“

9

რა კავშირი აქვს ოდესის პოლიციის შეფს, გია ლორთქიფანიძეს „ბოევიკებთან“?



წამოძახება-გადაბრალებებში „ნაცებსა“ და „ქოცებს“ მსოფლიოში კაციშვილი ვერ გაჯობებთ!..

2

ვანგა — „დედამიწაზე ახალი დრო დგება! სამყაროს აღსასრული სირიაში დაიწყება...“



სიზარმაცე თანდაყოლილი თვისებაა



რუსი ახალგაზრდას პიცა... შეუყვარდა და დაქორწინებაც მოისურვა



ტკბილეული ადამიანს აიძულებს, უფრო ხშირად იკვებოს



## არჩევნები მოახლოვდა და აკაკანდება ყველა, ყველა დაბოლებას დაგვიწყებს! აგერ, „ნაცების" მაგალითიც...



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" პენსიის 50 ლარით გაზრდის მოთხოვნით კამპანიას იწყებს. როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, აღნიშნული მოთხოვნით სპეციალური პეტიცია შემუშავდა, რომელზე ხელმოწერაც ნებისმიერ პენსიონერს შეეძლება.

– ბოლო 3 წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება დადგა ძალიან მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშე: შემცირდა ეკონომიკური ზრდა, გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა დასაქმება და ვაჭრობა, გაიზარდა სიღარიბე. განსაკუთრებით მძიმედ ამ ყველაფერმა იმოქმედა ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველ ფენაზე, ჩვენს ასაკოვან მოსახლეობაზე – პენსიონრებზე. მათი პენსია დღეს დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურების გამო, უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს იყო 3 წლის წინათ და ეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში გაძვირდა ყველაფერი – წამალი, პროდუქტი და ცხოვრება. ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, გადაიდგას საგანგებო ნაბიჯი პენსიონერთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოიმატოს პენსიამ 50 ლარით. ეს სახელმწიფო ბიუჯეტს წელიწადში 420 მილიონი ლარი დაუჯდება. თუ შევხედავთ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, დავინახავთ, რომ 2012 წელთან შედარებით 456 მილიონით არის გაზრდილი მთავრობის შენახვის ხარჯები. აი, სწორედ ეს არის ის თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეთ პენსიონერებს, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა უშუალოდ პენსიონერებს მიმართა და მოუწოდა, მათ მიერ დაწყებული კამპანიის ფარგლებში შემუშავებულ პეტიციას ხელმოწერით შეუერთდნენ.

– პოლიტიკური სურვილის შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს რესურსი, რომ 2016 წელს პენსია გაიზარდოს 50 ლარით. კითხვა არის მარტივი – რა სჭირდება დღეს საქართველოს, პრემია თუ პენსია? მე ვფიქრობ, რომ ყველაზე დაუცველ მოსახლეობას სჭირდება პენსია და არა მთავრობის წევრთა პრემიები. ამიტომ ჩვენ დღეიდან ვიწყებთ კამპანიას და მოვუწოდებთ თითოეულ პენსიონერს, შემოგვიერთდეს, შემოუერთდეს პეტიციას და თავისი ხელმოწერით დაადასტუროს მოთხოვნა პენსიის 50 ლარით გაზრდის შესახებ. ჩვენ მოვალთ თითოეულ ოჯახში და თითოეულ ადამიანს მივცემთ საშუალებას, დააფიქსიროს საკუთარი არჩევანი – პრემია თუ პენსია, – აღნიშნა დავით ბაქრაძემ. (ინტერპრესნიუსი)

**ძვირფასო და ტკბილო ბებიებო და პაპა-ბაბუებო, ახლა გეტყვით, დაახლოებით როგორ განვითარდება მოვლენები — არჩევნების მოახლოების გამო „ქართული ოცნება" შარვლიდან ამოხტება და პენსიას უმნიშვნელოდ, მაგრამ აუცილებლად გაზრდის. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ თავიდან კატეგორიულად უარყოფდნენ პენსიის შესაძლო გაზრდას, თუმცა, როგორც კი არჩევნების თემა გააქტიურდა, სიტუაცია მაშინვე შეიცვალა. მოკლედ, „ოცნება" გაზრდის პენსიას და დაიწყებს დაყვედრებას — აი, ჩვენ შეუძლებელი შევძელით, ჩვენს მოხუცებზე ვზრუნავთ და ნუ, როგორც ხდება ხოლმე.**

**იქვე არ დააყოვნებს „ნაციონალური მოძრაობაც" და დაიწყებს დაახლოებით ასე: აი, ჩვენ რომ ვითხოვდით და ჩვენ რომ კამპანია დავიწყეთ, მთლად 50 ლარით ვერა, მაგრამ ხომ ვაიძულეთ მთავრობა, თქვენთვის პენსიები გაეზარდაო...**

**ჯანდაბამდე გზა ჰქონია ორივეს — ყვავს რომ კაკალს გააგდებინებ, ეგეც რამეა. უბრალოდ, გაითვალისწინეთ ტკბილო ბებიებო და პაპა-ბაბუებო, გატყუებენ — ისევ თქვენი ხმები სჭირდებათ არჩევნებში და იმიტომ. ეს არის და ეს...**

## კვირა გამყარებით დაიწყო და ვნახოთ...



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 17 ნოემბრისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,4010 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,4018 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0008 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა მცირედით ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5751 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,5879 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0128 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## მაგის იმედად იყავით, ქალბატონო გუგული თქვენ და...



უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე მიიჩნევს, რომ ISIS-ს მიზანი საქართველოს დაშინება არ არის.

როგორც დეპუტატი ამბობს, ისლამური სახელმწიფოს ინტერესებში ევროპის დაშინება შედის.

– ISIS-ის ყურადღების ცენტრში არის დიდი ქვეყნები, რომლებიც ქმნიან დემოკრატიულ ღირებულებებს, რათა აჩვენონ, რომ მათ შეუძლიათ ამ დიდი ქვეყნების წინააღმდეგაც კი წარმატებული ბრძოლა. ამიტომ მოცემულ მომენტში არ მგონია, მათი მიზანი საქართველო იყოს, რადგან, მათ პირველ რიგში, უნდათ დააშინონ დასავლეთი, ევროპა, – განმარტა გუგული მაღრაძემ. (პირველი რადიო)

**არავის ეწყინოს, მაგრამ გუგული მაღრაძე როდიდან გახდა ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ნეტა, თუ გვიპასუხებს ვინმე?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აუხ, ვერ გვაქვს კარგი ამბავი — ნარმანიამ, 2016 წლის ბიუჯეტში „პრიორიტეტები უცვლელიაო"



თბილისის მერიაში არ გამორიცხავენ, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით საკრებულოს დეპუტატებისა და მაჟორიტარების შენიშვნები შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ, თუმცა დავით ნარმანიას თქმით, 2016 წლის თბილისის ბიუჯეტში ძირითადი პრიორიტეტები უცვლელი დარჩება.

– პარამეტრები 810 მილიონი ლარით იქნა განსაზღვრული, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თითქმის 75 მილიონი ლარით მეტია, რაც მოგვცემს საშუალებას, უფრო მეტი რამ გავაკეთოთ ჩვენს ქალაქში, უფრო მეტი პრობლემა შეგვიძლია, მოვაგვაროთ. პრიორიტეტები უცვლელია 2016 წელს, ვინაიდან, ჩვენ თავიდანვე, სწორედ იმ პრიორიტეტებს მოვკიდეთ ხელი, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა ჩვენს მოსახლეობას. ეს არის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღები და პატარებზე ზრუნვა, ჯანდაცვა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, – განაცხადა დავით ნარმანიამ. (პირველი რადიო)

**გინდა, არ გინდა, ახლავე „ჩამოვჩოთქავთ", როგორი დასკვნა შეგვიძლია, გამოვიტანოთ თბილისის მერის ამ განცხადებიდან:**

**— „სითი პარკი" 2016 წელსაც გააგრძელებს ჩვენს დაყაჩაღებას — პრიორიტეტები უცვლელია და იმიტომ!**

**— გადათხრილი ქუჩები ისევ მიუხედავი დარჩება (აბა, რა გეგონათ, თვითნებურად რომ ჩიჩქნიდით?!) — პრიორიტეტები უცვლელია და იმიტომ!**

**— პრემიები და დანამატები მერიის ჩინოვნიკებისთვის ისევ უმძიმეს ტვირთად დააწვება ხალხს — პრიორიტეტები უცვლელია და იმიტომ!**

**— ავეჯში, ფურშეტებსა და უნიტაზებში გამგეობები ისევ ათობით ათას ლარს „გაისვრის" — ჰო, პრიორიტეტები რომ უცვლელია და იმიტომ. მოკლედ, „გულიაობს" თბილისის მერიააა!!!**

## რას ამბობ, შენ ნაკლებ გოთვერნებს აფინანსებ, აი?!



ვლადიმერ პუტინის განცხადებით, სირიაში მყოფ ტერორისტებს 40 ქვეყანა აფინანსებს, მათ შორის „დიდი ოცეულის" წევრი რამდენიმე ქვეყანა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ამ თემაზე მსჯელობა ანტალიაში იყო, სადაც „დიდი ოცეულის" სამიტი გაიმართა. მისი განცხადებით, მხარეებმა განიხილეს გაეროს უშიშროების საბჭოს სათანადო რეზოლუციების შესრულების საკითხები, რომლებიც რუსეთის ინიციატივით არის მიღებული და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთას და ტერორისტების მიერ გაძარცული ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობას ეხება. (ინტერპრესნიუსი)

**როგორ არ იქნება, რომ ხალხის ბედით და სიცოცხლით მოთამაშე ყველა მამაძაღლს პასუხი არ მოგეთხოვოთ?! აქ თუ არა, იქ ხომ მაინც კაი გავარვარებული ქვაბი და დიიიდი ჩანგალი გელით ყველას, არა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ირმა ინაშვილი დავით ბერძენიშვილს: დღეიდან გიწოდებთ პოლიტიკურ ხვრელს! ასე მოგმართავთ ყოველთვის და ყველა ფორმატში!



„პატრიოტთა ალიანსის" გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი, რომელიც კანცელარიის წინ შიმშილობს, გადაცემა „პოლიტიკაში" „რესპუბლიკური პარტიის" წევრის, დავით ბერძენიშვილის ინტერვიუს ეხმიანება. როგორც ბერძენიშვილი ინტერვიუში აღნიშნავს, ირმა ინაშვილის პარლამენტში არშეშვებით, საქართველოს პარლამენტში ევრაზიული ხვრელი დაიხურა.

– შიმშილობას არ შევწყვეტთ! გადავალთ ჯაჭვური შიმშილობის ფორმაზე.

ბოლო დღეების განმავლობაში არაერთი პოლიტიკოსისგან მესმის, რომ თითქოს მე არ გამივლია სამართლებრივი გზა და პირდაპირ დავიწყეთ შიმშილობა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ გავიარეთ სამართლებრივი გზა, მივმართეთ საოლქო სასამართლოს, შემდეგ უკვე გადავინაცვლეთ სიღნაღის სასამართლოში, შემდეგ გადავინაცვლეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ბოლოს ცესკოშიც იყო განხილვა, მაგრამ არავინ არ ადასტურებს იმას, რომ იქ მძიმე დარღვევებს ჰქონდა ადგილი. ჩვენ ეს საქმე წაგვაგებინეს.

„რესპუბლიკელების" პროფესიაა ტყუილი და მაგაზე ვილაპარაკოთ, კარგი იქნება. დავით უსუფაშვილს მინდა ვუთხრა, რომ მისი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ცრუობს. როცა ბატონი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ თურმე ინაშვილის არშეშვებით საქართველოს პარლამენტში ევრაზიული ხვრელი დახურა, მეც ვეუბნები დავით ბერძენიშვილს, რომ მეც დღეიდან გიწოდებთ პოლიტიკურ ხვრელს! აი, ასე მოგმართავთ ყოველთვის და ყველა ფორმატში. ბერძენიშვილი ცნობილი ხვრელია.

ის აზროვნების სტილი, რაც ამ ინტერვიუშია, არის საბჭოთა სტილი, – აღნიშნავს ინაშვილი. (რეპორტიორი)

## წამოძახება-გადაბრალებებში „ნაცებსა" და „ქოცებს" მსოფლიოში კაციშვილი ვერ გაჯობებთ!..

უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ მისთვის ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივები უინტერესოა.

დეპუტატის განცხადებით, ტერორიზმი მსოფლიო პრობლემაა და ასეთ საფრთხესთან წინააღმდეგობას ერთი სახელმწიფო ვერ გაწევს.

– მგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" თვითონ არ არის შორს იმ იდეოლოგიისგან, რასაც ტერორისტული იდეოლოგია ჰქვია. საერთოდ არ მაინტერესებს, მაგენი რა რეკომენდაციებით შემოვლენ. ერთმა ცალკე აღებულმა სახელმწიფომ რაც არ უნდა შეიმუშაოს, ასეთ საფრთხესთან წინააღმდეგობას ვერ გაწევს. ეს არის მსოფლიოს პრობლემა და ყველა სახელმწიფო კოორდინირებულად და შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ. (ნიუპოსტი)

**თქვენც მოგბეზრდათ, ბატონო გედი, „ნაცების" ხუშტურები და გამოხტომები, არა? გულზე ხელი დაიდეთ და გვითხარით, როგორია, როცა სახედაკარგული პოლიტიკური პარტია ჭკუას გარიგებთ, ნერვებზე იშლებით, არა? ჰოდა, აი, ეგრე ვართ ჩვენც, ეგრე მოგვბეზრდა მაგათი თითის ქნევები, მაგრამ სად არის პატრონი, სად არის სამართალი? თუმცა ვიცით, კი, ვიცით — სამართალი „ქართულმა ოცნებამ" დაასამარა, ჩემო ბატონო, აბაა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბიშვილი და ადეიშვილი ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტზე პასუხისგებაში მიეცნენ — ნუ, მიეცნენ, რა, ოცნებობს „ოცნება"



საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის ყოფილ მინისტრებს – ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ბრალი დაუმძიმდათ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მერაბიშვილი და ადეიშვილი ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტზე პასუხისგებაში მიეცნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით უწყება განცხადებას ავრცელებს:

– გაგაცნობთ გამოძიებით დადგენილ იმ დანაშაულებრივ სქემას, რითაც მოქმედებდნენ ზურაბ ადეიშვილი და ივანე მერაბიშვილი მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევისას, რის შედეგადაც დაზარალებულებს თეიმურაზ მეგრელიშვილს და ნოდარ მოდებაძეს იძულებით ჩამოართვეს თელავში მდებარე აკურის ღვინის ქარხანა. კერძოდ, 2004 წლის ივლისში, საქართველოს გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილისა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, ბათუმში, იმდროინდელი აჭარის ა/რ უშიშროების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში შედგა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სამართალდამცავი სტრუქტურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, მათ შორის აჭარის ა/რ უშიშროების მინისტრი აკაკი ცინცაძე და აჭარის ა/რ პროკურორი გივი პაპუაშვილი. თათბირზე, ასევე, მოწვეულნი იყვნენ საქართველოს ეროვნული ბანკისა და აჭარის ცენტრალური ბანკის თანამშრომლები.

თათბირზე მერაბიშვილი და ადეიშვილი ისმენდნენ, როგორ მიმდინარეობდა სს „საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდაციის პროცესი. მათ მიაჩნდათ, რომ ხსენებული ბანკი და ამ ბანკის აქციონერები დაკავშირებული იყვნენ აჭარის წინამორბედი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, რის გამოც აუცილებელი იყო ბანკის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული კრედიტები მოკლევადიან პერიოდში უკან დაბრუნებულიყო, რათა სწრაფად მომხდარიყო ბანკის ლიკვიდაცია, ეს თანხები გადარიცხულიყო მერაბიშვილისა და ადეიშვილის მიერ დასახელებულ ანგარიშებზე და მათზე წვდომა არ ჰქონოდათ ბანკის აქციონერებს.

ზურაბ ადეიშვილისა და ივანე მერაბიშვილის მიერ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის თანახმად, ეროვნული ბანკისა და აჭარის ცენტრალური ბანკის თანამშრომლებსა და „საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორებს უნდა შეედგინათ სიები კრედიტორების და მათ მიერ დასაფარი თანხების თაობაზე, აჭარის უშიშროების სამსახურს უნდა მოეპოვებინა ცნობები მსესხებლების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და ეს ინფორმაცია გადაეგზავნათ პროკურატურაში, მათ შორის პირადად ზურაბ ადეიშვილთან, პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებს კი სამართალდამცავ ორგანოში უნდა დაებარებინათ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის" მსესხებლები და ნებისმიერი ფორმით მათგან მოეთხოვათ ბანკიდან აღებული კრედიტების უკან დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებებით დადგენილი კრედიტის დაფარვის ვადა არ იყო ამოწურული. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მსესხებელი ვერ შეძლებდა კრედიტის უკან დაბრუნებას, მაშინ მათგან უნდა მოეთხოვათ სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ უძრავ/მოძრავი ქონების დათმობა, რომლის შესაძენადაც გახარჯული ჰქონდათ ბანკიდან აღებული სესხი. ხსენებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, 2004 წლის ზაფხულში, აჭარის ა/რ პროკურორს გივი პაპუაშვილს უშიშროების სამსახურიდან და ეროვნული ბანკიდან მიაწოდეს ცნობები და სია დასაბარებელი კრედიტორების და ჩამოსართმევი ქონების თაობაზე, რომელთა შორის შედიოდა თელავში მდებარე აკურის ღვინის ქარხანაც.

აქედან გამომდინარე, გივი პაპუაშვილმა, აჭარის ა/რ პროკურატურაში დაიბარა აკურის ღვინის ქარხნის მეპატრონეები, შპს „რთველი XXI"-ს დამფუძნებლები თეიმურაზ მეგრელიშვილი, ნოდარ მოდებაძე და დირექტორი ვახტანგ ჩახვაძე, რომელთაც სს „საქართველოს საზღვაო ბანკიდან" აღებული ჰქონდათ 2 600 000 ლარამდე ოდენობის სესხი, რითაც შეიძინეს ხსენებული ღვინის ქარხნის აქციების 89,060 პროცენტი, განახორციელეს ღვინის ქარხანაში ინსვესტიცია, გააშენეს ვაზი და ახდენდნენ ყურძნის წარმოებას, გადამუშავებას, ღვინის დამზადებასა და რეალიზაციას.

პროკურორმა გივი პაპუაშვილმა მათ გადასცა ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის კატეგორიული მოთხოვნა, რომ 2 თვეში დაეფარათ სს „საქართველოს საზღვაო ბანკიდან" აღებული კრედიტი, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდნენ, მაშინ უსასყიდლოდ დაეთმოთ აკურის ღვინის ქარხანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეექმნებოდათ პრობლემები. ანალოგიური ხასიათის მუქარა მათ შეუთვალეს ფინანსური პოლიციიდანაც, რამაც სისტემატური ხასიათი მიიღო.

აღნიშნულზე, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფმა თეიმურაზ მეგრელიშვილმა და ნოდარ მოდებაძემ სამართალდამცავებისგან მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტეს, დაეთმოთ ღვინის ქარხანა და ამის შესახებ გივი პაპუაშვილს აცნობეს. ქონების ჩამორთმევის პროცესის დაჩქარების მიზნით, სამართალდამცავების ორგანიზებით, შუა ღამით, სახლიდან საგანგებოდ გამოიყვანეს ნოტარიუსი და 2004 წლის 7 სექტემბერს ნოტარიული წესით გააფორმეს ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „რთველი XXI"-ის 100-პროცენტიანი წილი, რომლითაც მეგრელიშვილი და მოდებაძე ფლობდნენ თელავში მდებარე აკურის ღვინის ქარხანას, აჩუქეს სახელმწიფოს.

ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, თეიმურაზ მეგრელიშვილსა და ნოდარ მოდებაძეს მიადგათ დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს ზურაბ ადეიშვილისა და ივანე მერაბიშვილის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვანგა — „დედამიწაზე ახალი დრო დგება! სამყაროს აღსასრული სირიაში დაიწყება..."



გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ბულგარელმა ნათელმხილველმა ვანგამ ისეთი რამ იწინასწარმეტყველა, რაც დიდი ხნის განმავლობაში გაუგებარი იყო.

„მეკითხებიან: მალე გამართლდება სამყაროს შესახებ უძველესი სწავლება? არა, მალე არა. ჯერ სირია არ დაცემულა! სირია დაეცემა, თუმცა გამარჯვებული ის არ აღმოჩნდება, ვისაც ფიქრობენ! – ამბობდა ვანგა. როგორც ჩანს, წინასწარმეტყველების ახდენის დრო ახლოვდება. მოვლენები, რომლებსაც ბრმა ნათელმხილველი აღწერდა, ჩვენს თვალწინ ვითარდება.

ვანგას სიტყვების თანახმად, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შედეგი ნათელი იქნება. სირია მართლაც მარცხდება. ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგეები ნატო, საუდის არაბეთი და „ისლამური სახელმწიფო" არიან. ვინ აღმოჩნდება მათგან დამასკოს დამპყრობელი? ამას მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სირიის დაპყრობა არა გამარჯვება, არამედ იმის მიმანიშნებელია, რომ ამის შემდეგ რაღაც კარგია მოსალოდნელი. ვანგა ამას ასე აღწერდა: „დედამიწაზე ახალი დრო დგება, კეთილისმყოფელთა დრო. პლანეტის ეს მდგომარეობა ჩვენზე არაა დამოკიდებული, ის მაინც დადგება, იმის მიუხედავად, გვინდა თუ არა ჩვენ. ახალი დრო ახლებურად აზროვნებას მოითხოვს, სხვა ცნობიერებას, სხვა ადამიანებს, რათა არ დაირღვეს სამყაროს ჰარმონია".

ვანგა, ასევე, ამბობდა, რომ „სამყაროს აღსასრული სირიაში დაიწყება, ვინაიდან ძველი მსოფლიო წესრიგი უნდა შეიცვალოს იქ, საიდანაც ყველაფერი დაიწყო. რა ეპოქალური მოვლენა მოხდა უძველეს დროს იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა ომია? იქ მოხდა პირველი მკვლელობა დედამიწაზე. დამასკოდან 40 კილომეტრში კაენმა საკუთარი ძმა, აბელი მოკლა. ახლა იქ სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს. ძმა კვლავ ძმის წინააღმდეგ იბრძვის. დრო ბევრი აღარ დარჩა".

საინტერესოა, რა შეიძლება ისეთი საშინელი მოხდეს სირიის კონფლიქტის დროს, რაც ადამიანებს ახალი ცხოვრების დაწყებას აიძულებს? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ბირთვული იარაღის გამოყენებაა, რაც ნამდვილად „სამყაროს აღსასრულის" ტოლფასი იქნება. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ოქტომბერშიც ცოტა ფული შემოსულა საქართველოში



წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2015 წლის ოქტომბერში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 27,4 პროცენტით შემცირდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულადი გზავნილების შესახებ ოქტომბრის მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის ოქტომბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 89,9 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 215,2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2014 წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე, 27,4 პროცენტით (34,0 მილიონი აშშ დოლარით) ნაკლებია.

სებ-ის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92,7 პროცენტი იმ 14 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ოქტომბერში 1 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 14 ქვეყანაზე გასული წლის ოქტომბერში მთელი ფულადი გზავნილების 93,6 პროცენტი მოდიოდა. ქვეყნების ხუთეული, საიდანაც საქართველოში 2015 წლის ოქტომბერში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა, ასე გამოიყურება: რუსეთი (36,0 მილიონი აშშ დოლარი), იტალია (9,6 მილიონი აშშ დოლარი), აშშ (8,8 მილიონი აშშ დოლარი), საბერძნეთი (7,9 მილიონი აშშ დოლარი), თურქეთი (5,0 მილიონი აშშ დოლარი).

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2015 წლის ოქტომბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 15,1 მილიონი აშშ დოლარი (36,1 მილიონი ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 17,0 მილიონი აშშ დოლარისა (29,9 მილიონი ლარისა) გასული წლის ოქტომბერში. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რას ყვება თვითმხილველი 20 წლის ფეხბურთელის გარდაცვალებაზე — თენგო ფერსელიძის მკვლელობის გარემოებები



15 ნოემბერს დილით თბილისში 20 წლის ფეხბურთელი, თენგო ფერსელიძე მოკლეს. მკვლელობა დილის 5 საათზე ტაშკენტისა და კანდელაკის ქუჩის გადაკვეთაზე მოხდა. თენგო ფერსელიძე თბილისში დაიბადა, ის მოსკოვის პროსპექტზე ცხოვრობდა, დამთავრებული აქვს 124-ე საჯარო სკოლა. ფეხბურთით ბავშვობიდან იყო დაინტერესებული, ამჯერად კი ხელვაჩაურის საფეხბურთო კლუბ „მაჭახელაში" თამაშობდა. როგორც მისი ახლობლები ამბობენ, თენგო თბილისში მეგობრის დაბადების დღეზე იმყოფებოდა, დაბადების დღე სახლში აღნიშნეს, სადაც ბიჭებს შორის შელაპარაკება მოხდა, დაპირისპირებამ ქუჩაში გადაინაცვლა და 20 წლის ფეხბურთელი დანით მოკლეს. მას 6 ჭრილობა აქვს მიყენებული.

თვითმხილველის, უჩა იაშვილის განცხადებით, ფერსელიძე საავადმყოფოში გამვლელის მანქანით გადაიყვანეს, თუმცა ის უკვე მკვდარი იყო.

„მაჭახელას" ფან-კლუბის წარმომადგენლობაში ამბობენ:

– თენგოს მრავლობითი სახის ჭრილობები მიაყენეს კისრისა და გულის არეში. თენგო თბილისში იყო, მეგობრის დაბადების დღეზე. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე გუნდს წარმატება მოუტანა, 90-ე წუთზე გაიტანა და კიდევ ერთხელ დაგვამახსოვრა თავი. ძალიან კარგი ადამიანი იყო, ყველას ძალიან გვიყვარდა. მიზეზებზე საუბარი, რა გახდა მკვლელობის მიზეზი, არ გვინდა, რადგან ზუსტად არაფერი ვიცით და არ გვინდა, ჩვენი ვერსია არ გამართლდეს საბოლოოდ.

შსს-მ დანაშაული სამ საათში გახსნა და მკვლელი დააკავა. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარიზის ტერაქტის შემდეგ ევროს კურსი დაეცა



პარიზში მომხდარი ტერაქტების ფონზე ევროს კურსი დოლართან მიმართებაში დაეცა.

„ბლუმბერგის" ინფორმაციით, 16 ნოემბრის ვაჭრობის შედეგად 1 ევროს კურსმა დოლართან მიმართებაში 1,0687 აშშ დოლარი შეადგინა და თითქმის მიუახლოვდა ექვსთვიან მინიმუმს, რომელიც 10 ნოემბერს დაფიქსირდა (1,0675 დოლარი).

შედარებით მოიმატა ევროს ფასმა იენთან მიმართებაში – 1 ევროს ღირებულებამ 131,33 იენი, 1 დოლარის ფასმა კი 122,45 იენი შეადგინა.

– პარასკევს პარიზში მომხდარმა ტერაქტებმა სარისკო აქტივებიდან სახსრების გადინება გამოიწვია, რომელსაც ამ შემთხვევაში, ევროც მიეკუთვნება. ევროპის ცენტრალური ბანკის მხრიდან დაბალი საპროცენტო განაკვეთების მხრივ, ევრო ძალიან მყარი ვალუტაა, თუმცა, როდესაც მოვლენები უშუალოდ ევროზონაში ხდება, ვალუტა გაუფასურდება, – განაცხადა Macquarie ბანკის ანალიტიკოსმა ნიზამ იდრისმა. (bpn.ge)

# ფინანსთა სამინისტრო მოსახლეობას კომერციული ბანკების სასარგებლოდ ვალებს ჰკიდებს!

## რისთვის ისესხა ხადურის უწყებამ 419 მილიონი?


გელა ზედელაშვილი
555 48-48-61




2015 წლის 11 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 336-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ამ, ერთი შეხედვით, „უწყინარ" ინფორმაციაში თითქოს ისეთი არაფერია, თითქოს ფინანსთა სამინისტრომ, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ფასიანი ქაღალდები გამოიტანა, გაყიდა და მორჩა, ხეირი ვნახეთ. არადა ყველა ნორმალურმა ეკონომისტმა იცის, რომ ეს არის სესხის აღება კომერციული ბანკებიდან. გავყვეთ ინფორმაციას, ვნახოთ, რა მოხდა შემდეგ: აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 27 500 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 11 პროცენტით, მაქსიმალური – 11,830 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 11,506 პროცენტი განისაზღვრა. ესე იგიო, გვეუბნებიან ფინანსთა სამინისტროდან, მოთხოვნა 27 მილიონ-ნახევარზე იყო, მაგრამ ამჯერად მხოლოდ 10 მილიონი ლარის ფასიანი ქაღალდები გავყიდეთ, 1 წლის განმავლობაში საშუალოდ ბიუჯეტიდან, ანუ თქვენი ჯიბიდან 11,506 პროცენტი უნდა ვიხადოთო (ეს ჯერ კიდევ არაფერია, ცოტა ქვემოთ განახვებთ, რამხელა ვალებს გვკიდებს ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად კომერციული ბანკების სასარგებლოდ) კი, მაგრამ ჩვენ ხომ აქამდე გვარწმუნებდნენ, ბიუჯეტში ფული ოხრად გვაქვს, არავითარი დეფიციტი, პირიქით, ერთი მილიარდი უნდა გავაჩეროთ, წლის ბოლოს მთლიანად ვერც კი დავხარჯავთ, რათა ლარი არ გაუფასურდესო? ახლა კი რა გამოდის, სახელმწიფო იღებს სესხს კომერციული ბანკებიდან მთელი 1 წლით და თანაც ამხელა პროცენტში? ჯერ კიდევ 2 თვის წინ ეკონომიკის ექსპერტი, **ლია ელიავა** „ალიასთან" საუბარში ამბობდა, ფინანსთა სამინისტრო რაღაც საეჭვოდ იწონებს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებს, რაღაც საეჭვოდ უკრავს ტაშს რეფინანსირების საკითხზე, არ არის გამორიცხული, საქმე ფასიანი ქაღალდების გაყიდვასთან და რაღაც გარიგებასთან გვქონდესო. მისივე თქმით, კომერციული ბანკებიდან სესხის აღების პრაქტიკა 2011 წლიდან კი არის დანერგილი, მაგრამ აქ საინტერესოა, როდის რამდენს იღებენ:

– ამ 10 მილიონს თქვენ მიაქციეთ ყურადღება, თორემ ამ ფაქტამდე, მიმდინარე წელს უკვე აღებულია 419 მილიონი ლარი. ეტყობა, წლის ბოლომდე ნახევარ მილიარდამდე აიყვანენ. 2014 წელს, როცა ამ საკითხზე იყო ლაპარაკი, ბიუჯეტში დეფიციტის, 150 მილიონი ლარის დაფარვას აპირებდნენ უცხოური სესხით, რომელიც იქნებოდა დაბალპროცენტიანი, მაგრამ მაინც აიღეს ჩვენი ბანკებიდან 394 მილიონი. 2013 წელს შედარებით ცოტა აიღეს – 140 მილიონი, 2013 წელს – 100 მილიონი. ამხელა თანხებზე არასოდეს ასულან, 2011 წელს, სააკაშვილის დროს აიღეს 250 მილიონი.

**— ესე იგი, კომერციული ბანკები მაგრად „ბაირამობენ" ყოველწლიურად, ამხელა თანხებს ლამის 12 პროცენტად აძლევენ სახელმწიფოს და მიდის გარანტირებული მილიონები ვიღაცის ჯიბეებში, ხომ?**

– მე აქ მაეჭვებს ვადა, ანუ 1 წელიწადი, თორემ 1-2-კვირიანი სესხების აღება ჩვეულებრივი ამბავია, ამას სხვა ქვეყნებშიც აკეთებენ, რადგან გადასახადები ბიუჯეტში თანაბრად არ შედის და არის ხოლმე წყვეტა. როდესაც ვადა ხანგრძლივია, ესე იგი, ფინანსთა სამინისტროს ეს ფული სჭირდება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად. დიახ, ჩვენ ბიუჯეტიდან ვიხდით უზარმაზარ პროცენტებს და ამაზე კომერციულ ბანკებს აქვთ ძალიან დიდი მოთხოვნილება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ფასიანი ქაღალდებით თვითონვე ვაჭრობენ და იღებენ საკმაოდ მსუყე შემოსავალს.

**— ვისთან ვაჭრობენ, ერთმანეთში?**

– უმეტეს შემთხვევაში უცხოელებთან. კომერციული ბანკების მიერ შესყიდული ფასიანი ქაღალდების 30 პროცენტი გადადის უცხოელების ხელში.

**— ვთქვათ პირდაპირ: ესე იგი, ეს არის გარანტირებული შემოსავლის წყარო, არავინ არ გადაგაგდებს, არავინ არ გაგექცევა, 1 მილიონზე 120 ათასი მოდის უპრობლემოდ.**

– კი, ასეა... გარდა ამისა, კომერციული ბანკები ამ ფასიან ქაღალდებს იყენებენ გარანტიად, როდესაც თანხებს სესხულობენ ეროვნული ბანკიდან. მაგალითად, რეფინანსირების დროს ეს არის ურყევი გარანტია, თუ კომერციული ბანკები ვერ ან არ დააბრუნებენ თანხებს, ეროვნული ბანკი წაიღებს ფასიან ქაღალდებს და შემდეგ ფულს მიიღებს ბიუჯეტიდან. როგორც ხედავთ, ეს არის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, ანუ ფული აკეთებს ფულს.

**— კი, ფული აკეთებს ფულს, ოღონდ ჩვენი ჯიბის ხარჯზე.**

– ფინანსთა სამინისტრომ უნდა განმარტოს, რატომ სესხულობს ამ ოდენობის თანხებს, თუკი ბიუჯეტი კარგად სრულდება, პრობლემები არ არსებობს, დეფიციტი არ არის.

**— ალბათ, კარგად გახსოვთ, პირიქით იძახდნენ, 1 მილიარდი ლარი უნდა გავაჩეროთ, არ უნდა დავხარჯოთო.**

– რა თქმა უნდა, მახსოვს და კითხვის ნიშნები ნამდვილად ჩნდება. არც კი ვიცი, კონკრეტულად ხელი ვის დავადო, აქ ძალიან ჩახლართული ამბავია, თუ ბიუჯეტს არ სჭირდება ამდენი თანხები, ნამდვილად არ უნდა ისესხონ. თუ სჭირდება, მაშინ უნდა განმარტონ.

**— როდესაც ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებენ, იქვე უნდა განმარტონ, რაში სესხულობენ, რისთვის და რატომ. არა, ესენი გვატყობინებენ, ფასიანი ქაღალდები გავყიდეთო და მორჩა. ნახეთ, 11 ნოემბერს 10 მილიონის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა და მოთხოვნა 27 მილიონისა იყო, რატომაც არ იქნებოდა, როცა ასეთი სახეიროა?**

– 10 მილიონი არაფერია იმასთან შედარებით, რაც წლის განმავლობაში უკვე გაყიდეს. რასაკვირველია, მოთხოვნა ყოველთვის დიდია. არადა, 12 პროცენტი ძალიან მაღალია, რეფინანსირების პროცენტს რომ უტოლდებოდეს, 5-7 პროცენტს, კიდევ გასაგები იქნებოდა. გარდა ამისა, საერთო ჯამში ხდება კიდევ ერთი საინტერესო რამ – როდესაც ბიუჯეტი კომერციული ბანკებიდან ქაჩავს ამხელა თანხებს, ბუნებრივია, იგივე კომერციული ბანკები აღარ გასცემენ სესხებს ბიზნესისთვის, ჩვეულებრივი მოსახლეობისთვის და ზარალდება ეკონომიკა. თუ დავაკვირდებით, ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო ხშირად ერთმანეთთან კომპრომისებზე მიდიან ხოლმე. მაგალითად, ხადურის უწყება სულ იძახის, რეფინანსირების სესხები ეკონომიკას არ ვნებსო, ლარის კურსი არ დავარდებაო. ფინანსთა სამინისტროში რა იციან, როგორ წინასწარმეტყველებენ? აი, მე ესეც მაკვირვებს და დამატებით კითხვის ნიშნებს აჩენს. სფერო, რომელიც შენ არ გეხება, იმაზე კომენტარს არ უნდა აკეთებდე და არც ეროვნულ ბანკს უნდა იცავდე. ესენი, ფაქტობრივად, იუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას.

**— ქალბატონო ლია, ამ ყველაფერს ვინ აკონტროლებს?**

– რა თქმა უნდა, პარლამენტი... რა ვიცი, შარშან ბიუჯეტი რომ მიიღეს, თითქოს არ იყო ცუდი, მერე რა მოხდა, ამდენი ფული რაში დასჭირდათ, ვერ გეტყვით.

**— შარშანდელი და წლევანდელი ბიუჯეტების პროექტებში ამ სესხებზე რამე ეწერა?**

– არა, ეს თანხები ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო.




**„12 პროცენტი ძალიან მაღალია, რეფინანსირების პროცენტს რომ უტოლდებოდეს, 5-7 პროცენტს, კიდევ გასაგები იქნებოდა. გარდა ამისა, საერთო ჯამში ხდება კიდევ ერთი საინტერესო რამ — როდესაც ბიუჯეტი კომერციული ბანკებიდან ქაჩავს ამხელა თანხებს, ბუნებრივია, იგივე კომერციული ბანკები აღარ გასცემენ სესხებს ბიზნესისთვის, ჩვეულებრივი მოსახლეობისთვის და ზარალდება ეკონომიკა"**

**„ალია" კომენტარისთვის ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელს, თეა ბეგიაშვილსაც დაუკავშირდა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, თამაზ მეჭიაურსაც. როგორც ფინანსთა სამინისტროდან გვითხრეს, შეკითხვები გადავუგზავნეთ და პასუხები დაახლოებით 1 საათში უნდა მიგვეღო, მაგრამ შემდეგ კიდევ 2 დღე ითხოვეს. წესით, ამის გამო სტატია უნდა გაგვეჩერებინა. თუმცა, ჩვენ მაინც გამოქვეყნება გადავწყვიტეთ. თუ ნოდარ ხადურის უწყება საჭიროდ ჩათვლის (დაპირებაც ასეთია) და ამ სტატიასთან დაკავშირებით განმარტებებს წერილობით გამოგვიგზავნის, გამოქვეყნების პრობლემა არ იქნება.**

**რაც შეეხება თამაზ მეჭიაურს, მას საერთოდ არ სურს ამ თემაზე საუბარი, ფინანსთა სამინისტროს ჰკითხეთ, რას, როგორ და რანაირად აკეთებენო. კი, მაგრამ ეს პროცესი რომ პარლამენტმა უნდა გააკონტროლოს, ამას რა ვუყოთ? ამ შეკითხვაზე ბატონი თამაზი არ გვპასუხობს და ეჭვი კიდევ უფრო მძაფრდება, რომ საქმეს ძალიან ცუდი სუნი უდის. დაველოდოთ ფინანსთა სამინისტროს განმარტებას, ვნახოთ, რა გამართლებას მოუძებნიან იმ ფაქტს, რომ კომერციულ ბანკებს მხოლოდ ჩვენს ოჯახებში კი არა, ბიუჯეტშიც აქვთ ხელი ჩაყოფილი და კარგადაც „წველიან".**

# როგორ განკურნა პატრიარქმა სიმსივნისგან კახი კავსაძე — დაუჯერებელი ამბავი

„ფეისბუკში“ ლეგენდარული მსახიობის, კახი კავსაძის სიმსივნისგან სასწაულებრივად განკურნების ამბავი ვრცელდება:



– ცუდი დაავადება დამიდგინეს – სიმსივნე. ლადო ხომ იცი, კახაძე? ექოსკოპიის ვირტუოზია. ჰოდა, რაღაც ეჭვები რომ შეეპარათ ექიმებს, ლადოსთან გამიშვეს. ლადომაც აწრიალა, აწრიალა ჩემს მუცელზე ეს ექოსკოპიის გორგოლაჭი და ბოლოს მითხრა, ცუდი დაავადება გჭირს, კახიო... ერთი სიტყვით, გადაწყდა ჩემი გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრება...

ქალების ამბავი ხომ იცი, წასვლამდე ახლობელმა და ნათესავმა ქალებმა მირჩიეს, ამხელა გზაზე, თანაც სამკურნალოდ ისე ნუ წახვალ, ვიდრე მამაო არ დაგლოცავსო.

მამაოს დავურეკე, დამლოცე-მეთქი... იმან კიდევ, – ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა თქვა, კახი უნდა დავლოცოო... გამიხარდა...

დამლოცა პატრიარქმა. თავზე ხელი დამადო – დალოცვილი იყავიო... ახლა წამოდი ზემოთ ვიტრაპეზოთო. ზემოთ უზარმაზარი სუფრაა გაშლილი და ტორტი დევს. ამას ხელი არავინ მოჰკიდოს, ბატონი კახი გერმანიაში მიბრძანდება სამკურნალოდო...

ძლივს წამოვათრიე ის ტორტი, ერთი კვირა ჭამდა მთელი ჩემი სანათესაო და სამეზობლო...

გერმანიაში საავადმყოფოს ერთ-ერთ კაბინეტში ვზივარ და ექიმს ველოდები. კაბინეტში პუნქტუალური გერმანელი ექიმი შემოვიდა. სამედიცინო საწოლზე გამშოტეს.

ძალიან უსიამოვნო პროცედურას მიტარებენ... ორგანიზმში რაღაც ნათურებიან მილებს მიდგამენ და ექიმი დათვალიერებას იწყებს. სულ 5-წუთიანი პროცედურაა... 5-წუთიანი პროცედურა ჯერ 10 წუთს გაგრძელდა, შემდეგ – 20 წუთს.

დაფიქრებული ექიმი წამოდგა და მეორე ექიმი მოიყვანა. ახლა იმან დაიწყო უცნაურ მილში ჭიტინი, 5 წუთი, 10, 15... მერე გერმანელები ერთმანეთს მიუბრუნდნენ. აინ, ცვაინ, დლაინ, ნდღვა მუნდღვა, დღინ დღუნ... (კახიმ გერმანული არ იცის, მაგრამ არტისტია, გერმანელებს ბაძავს) ბოლოს მითხრეს, არაფერი გჭირსო...

– ეს იმიტომ, რომ აქ წამოსვლის წინ ჩვენმა პატრიარქმა დამლოცა-მეთქი.

გაკვირვებულებმა შემომხედეს, გამომეტყველებაზე ეტყობოდათ, რომ ფიქრობდნენ: ეს ცოტა ვერ არისო...

გავუმეორე, იმიტომ არ მაქვს არაფერი, რომ წამოსვლის წინ ჩვენმა პატრიარქმა დამლოცა-მეთქი.

– თქვენ სასწაულის გჯერათ? – მეკითხება გერმანელი ექიმი...



– მე სიკეთის ძალის მჯერა, – ვეუბნები მას და ვემშვიდობები. ზურგს გერმანელი ექიმების ეჭვიანი მზერა მიწვავს....

თბილისში მოვფრინავ. ისევ ლადოს ექოსკოპიის კაბინეტში ვარ გაშოტილი. მან გერმანული ამბებისა არაფერი იცის.... გაშტერებული მიყურებს, სასწაულია პირდაპირ, სასწაული! არაფერი გაქვს, კახი, არაფერი...

სინამდვილეში არაფერი სასწაული არ მომხდარა. სიკეთის ძალამ გააქრო და დაშალა ბოროტება... (etanews.ge)

# „ბარამბო“ — ქართული, სანდო, ხარისხიანი

**— „ყიდვისას ვცდილობ, არჩევანი ქართული წარმოების პროდუქტზე შევაჩერო. რა თქმა უნდა, ხარისხის გათვალისწინებით. მადლობა თქვენ, რომ არსებობთ. მადლობა, რომ შემიძლია, სრულფასოვნად შევიგრძნო ჩემთვის უსაყვარლესი ნუგბარის — შოკოლადის გემო“.**

**— „ყოველთვის ყველგან ვიტყვი ამაყად: „ბარამბო“ ქართული შოკოლადია! „ბარამბო“ ჩემი შოკოლადია!“**

**— „დღეს გავსინჯე, უგემრიელესიაა! მიყვარხარ „ბარამბო“ და მადლობა, რომ არსებობ!“**

**— „ჩემი ბავშვობა გამახსენა, კაკლის ხიდან მწვანე ბურთებს რომ ვყრიდით, იმათ გაფცქვნაში წენგოთი რომ ვისვრიდით ყველაფერს და ბევრი წვალების შემდეგ უუუგემრიელესი ნედლი ნიგვზით რომ ვტკბებოდით. მადლობა, „ბარამბო“, გემრიელია“.**

**— „რატომღაც გამახსენა დედაჩემის გაკეთებული კრემი! „მალაკოში“ რომ ურევდა ხოლმე ნიგოზს და ჯამში დარჩენილს მე რომ „ვტლიკავდი“...**

**— „მიყვააარს ბარააამბოოოო!!!“**

**— „მინდააა“.**

**— „ბარამბო საუკეთესოა!“**

„ბარამბოს“ ოფიციალურ „ფეისბუკ“-გვერდზე უამრავ მსგავს გამოხმაურებას შეხვდებით და ეს მხოლოდ რამდენიმე მომხმარებლის შეფასებაა. თუმცა, ვფიქრობთ, საკმარისი იმისთვის, რომ დასკვნა გამოვიტანოთ – „ბარამბო“ არის ის ქართული ბრენდი, რომლის ხარისხიანი პროდუქცია მომხმარებელში უდიდესი ნდობითა და მოწონებით სარგებლობს.

**„ყოველთვის ყველგან ვიტყვი ამაყად: „ბარამბო“ ქართული შოკოლადია!“** – „ფეისბუკ“-მომხმარებლის ამ კომენტარმა ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება და ემოცია დაიმსახურა და ვფიქრობთ, თავად კომპანიის მოტივაციისთვის საოცარი და ძალიან საჭირო სიტყვებია!..

სწორედ ეს შეფასებები გვაძლევს იმის საშუალებას, ვიფიქროთ, რომ უამრავი ადამიანი, როდესაც ქართულ წარმოებაზე, საქართველოში შექმნილ პროდუქტზე ფიქრობს და იხსენებს, რომელია ერთ-ერთი გამორჩეული – ახსენდება „ბარამბო“ და მისი უგემრიელესი ტკბილეული. ზოგადად, ტკბილეული ხომ ადამიანში დადებით ემოციებს აღძრავს, რაც მეცნიერულადაც არაერთხელ დამტკიცდა და შესაბამისად, მეტად სასიხარულოა, რომ გვაქვს ქართული, მით უმეტეს სანდო და ხარისხიანი პროდუქცია „ბარამბოს“ სახით.




*****

მოდით, მივყვეთ ნაბიჯ-ნაბიჯ და გავიგოთ, რა გზას გადის „ბარამბოს“ პროდუქცია, სანამ ჩვენამდე, მომხმარებლამდე მოვა:

დავიწყოთ იმით, რომ „ბარამბო“ ძირითად ნედლეულს ბელგიიდან იღებს, კერძოდ კი კომპანია „ბარიკალებაუტისგან“, რომელიც შოკოლადით მსოფლიო ბრენდებს ამარაგებს.

ზოგადად, ბელგიას შოკოლადის სამეფოსაც კი უწოდებენ და სწორედ შოკოლადის სამეფოს უმაღლესი ხარისხის ნედლეულისგან დამზადებული ტკბილეულია ის, რასაც საბოლოო სახეს „ბარამბო“ უკვე საქართველოში ანიჭებს.

ცნობილია, რომ ბელგიიდან მიღებული მასიური ფილების გადადნობის პროცედურა მკაცრი მონიტორინგის თანხლებით მიმდინარეობს, რათა ქართველ მომხმარებლამდე ზუსტად იმ ხარისხის ტკბილეული მივიდეს, რომელსაც „ბარამბო“ აგერ უკვე 5 წელია, აწარმოებს...

შევიხედოთ „ბარამბოს“ საწარმოშიც – საწარმო არის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიას აქვს ორი ISO სერტიფიკატი – ხარისხის მართვისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ „ბარამბოში“ მუშაობს მონიტორინგის სპეციალური ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ წარმოების ყველა ეტაპზეა ჩართული – ნედლეულის მიღების დღიდან დაწყებული, პროდუქციის წარმოებითა და ამ პროდუქციის დახლებამდე მიტანით დასრულებული. მოკლედ, საგულდაგულოდ კონტროლდება წარმოების თითოეული ეტაპი, სანამ პროდუქტი საბოლოო სახით არ წარდგება მომხმარებლის წინაშე.

**„ბარამბოს“ უგემრიელესი სიახლეები**

ერთ-ერთი სიახლე მუსიანი ფილები გახლავთ – „ბარამბო ექსპორტის“ ფილები მუსიანი შიგთავსით. თუ შარშანდელი




ყველაზე კარგად გაყიდვადი იყო „ბარამბო ექსპორტი“ კრემ-ბრულეს, ტირამისუს და შოკოლადის მუსის შიგთავსით, წელს უკვე სიახლის სახით გამოვიდა ნიგვზისა და ბრაუნის მუსის შიგთავსის მქონე ფილები, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და უდიდესი პოპულარობა დაიმსახურა. ასევე, „ბარამბო ექსპორტს“ ოქტომბრის ბოლოდან დაემატა განსხვავებული ტექნოლოგიით დამზადებული „ბარამბო Desirable“, რომელიც გახლავთ თეთრი შოკოლადის ფილა მარწყვის ცუკატით და ასევე, რძიანი შოკოლადის ფილა ვაფლის ნატეხებით.

„ბარამბო ექსპორტის“ ფილების პარალელურად, „ბარამბოს“ ერთ-ერთი ახალი პროდუქტია ასაწონი შოკოლადის კანფეტები: „Queen“, „Lugano“, „Dolce“, „Play“ რომლის წარმოებისთვისაც კომპანიამ მილიონი ლარის ოდენობით ინვესტიცია განახორციელა, განსხვავებული სტრუქტურის კანფეტით შეგიძლიათ, გაუმასპინძლდეთ სტუმარს ფინჯან ყავასთან ერთად და გაიხსენოთ თუნდაც ბავშვობის ყველაზე ტკბილი წუთები... ასევე, მნიშვნელოვანი სიახლე ნოემბერში ბარამბოს 8-გრამიანი მინიფილებია – რძიანი და კარამელიანი

მინიფილა, რომლის პრეზენტაციაც ორიგინალურად გაკეთდა კამპანია „ვიმეგობროთ“ ფარგლებში. თბილისში 100-მდე კომპანიაში 10000 ადამიანს სამუშაო მაგიდასთან დილით, სიურპრიზის სახით, დახვდა ბარამბოს 8-გრამიანი ფილები, ღია ბარათთან ერთად, ტექსტით „ვიმეგობროთ“, სამსახურში დილაადრიან მისულ საქმიან ადამიანებს ენერგიული დღის დაწყებაში „ბარამბო“ დაეხმარა.

**„ბარამბო“ ბავშვების ყველაზე გემრიელი მეგობარიცაა**

მნიშვნელოვანია, რომ „ბარამბოს“ ცალკე აქვს ბავშვებისთვის გამოყოფილი 100 პროცენტით ნატურალური „ბარამბინოს“ პროდუქცია, რომელიც პატარებს ტკბილეულის ფართო ასორტიმენტით ანებივრებს – როგორც რძიანი და კაკაოს ბატონებით, ისე მუყაოს ფილებით, „შოკო კრემით“.

სხვათა შორის, „შოკო კრემმა“ მოკლე დროში შეაყვარა თავი ჩვენს პატარებს და ბაზარზე არსებული სხვა უცხოური ბრენდი საუზმეზე სწორედ „შოკო კრემმა“ ჩაანაცვლა.

**ექსკურსიები**

ბავშვებისთვის, ორგანიზაციებისთვის, ბიზნესმენთა ჯგუფებისთვის „ბარამბოს“ საწარმოში რეგულარულად ტარდება ექსკურსიები სრულიად უფასოდ. ბევრი საწარმო საქართველოს ბაზარზე არავის აძლევს იმის საშუალებას, საკუთარი თვალით იხილოს წარმოების პროცესი და პირობები, იგივე ჰიგიენური ნორმები რამდენად არის დაკმაყოფილებული, „ბარამბოს“ კარი კი ყველა სტუმრისთვის ღიაა, რაც სანდოობაზე მოქმედებს.

**მიხეილ სახვაძე**

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# რატომ არის „ნიმესილი“ სასიკვდილოდ სახიფათო და რა რაოდენობით შეიძლება მისი მიღება, რომ თავი საფრთხეში არ ჩაიგდოთ?




საქართველოში ჯანდაცვის სამინისტრომ ძალიან ბევრი მედიკამენტი სპეციალური რეცეპტით გასაცემ წამალთა სიაში ჩასვა. ამ სიაში მოხვდა პოპულარული ტკივილგამაყუჩებელი „ნიმესილი“, რომლის გაყიდვაც სხვადასხვა წამყვან ქვეყნებში საერთოდ აკრძალულია.

რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო სააგენტოებმა „ნიმესილის“ შესახებ ძალიან სკანდალური და შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელეს, თუმცა ეს ინფორმაცია საიტებიდან მალევე გააქრეს. უცნობია, რატომ მოხდა ამ მეტად საყურადღებო და საგანგაშო ფაქტების სოციალური სივრციდან გაქრობა, თუმცა მოვასწარით, „ნიუსს“ „ჩავავლეთ“ და გავიგეთ, რა საშინელი გვერდითი ეფექტები აქვს „ნიმესილს“.

აი, რა ეწერა საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ სტატიაში:

„დავიწყოთ იქიდან, რომ „ნიმესილი“ ძალიან ძლიერი ტკივილგამაყუჩებელია. მას უნიშნავენ ადამიანებს, რომლებიც ქირურგიული ოპერაციის შემდგომ ტკივილებს განიცდიან ან ძლიერ თავის ტკივილებს უჩივიან. მიუხედავად ამისა, საქართველოში მას მცირე ტკივილის დროსაც იღებენ, რაც ძალიან სახიფათოა, რადგან „ნიმესილი“ უარყოფითად მოქმედებს ღვიძლზე. ხშირმა მოხმარებამ შეიძლება ღვიძლის გადაგვარება გამოიწვიოს, რისი მკურნალობაც მხოლოდ ორგანოს შეცვლით შეიძლება.

2007 წელს ევროპულმა მედიცინის სააგენტომ ჩაატარა ექსპერიმენტი და აღმოაჩინა, რომ ადამიანებს, რომლებიც „ნიმესულიდის“ შემცველ მედიკამენტებს იღებდნენ, უყალიბდებოდათ კუჭ-ნაწლავური სისხლდენა და მუცლის წყლული. „ნიმესულიდი“, აგრეთვე, მკაცრად არის აკრძალული ორსულების, მეძუძური ქალების, თინეიჯერებისა და ასთმის მქონე ადამიანებისთვის.

სწორედ ამის გამო მრავალ ქვეყანაში „ნიმესულიდი“ აკრძალულია. მისი გაყიდვა ყოველთვის აკრძალული იყო ამერიკაში, კანადასა და ავსტრალიაში. ქვეყნებში, სადაც მისი გაყიდვა ხდებოდა (ფინეთი, ესპანეთი, თურქეთი, ინდოეთი), მედიკამენტი მას შემდეგ აიკრძალა, რაც რამდენიმე ადამიანი ღვიძლის დაზიანების შედეგად გარდაიცვალა. პორტუგალიასა და ისრაელში მისი აკრძალვა 1999 წელს მოხდა, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ბავშვი გარდაიცვალა. შვეიცარიაში, ქვეყანაში, რომელიც „ნიმესულიდს“ აწარმოებს, ბავშვებისთვის მისი მიცემა ყოველთვის აკრძალული იყო. პრეპარატი მკაცრად არის აკრძალული უკრაინაშიც, ასევე, ბევრი რუსული ფარმაცევტული კომპანია არ ყიდის მას...“

ინტერნეტში ამ სტატიის გავრცელებას, ბუნებრივია, სერიოზული შეშფოთება და აჟიოტაჟი მოჰყვა, ვინაიდან „ნიმესილი“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატია.

„ალიასაც“ სრულიად ლოგიკური კითხვები გაუჩნდა – იმ დროს, როდესაც „ნიმესილის“ გვერდითი მოვლენების შემთხვევები ასეთი ტრაგიკული და შემაშფოთებელია, რატომ იყიდება ეს პრეპარატი საქართველოში, თუნდაც რეცეპტებით? ნუთუ, არ არსებობს მისი ქსელიდან ამოღების და სხვა, არანაკლებ ძლიერი ტკივილგამაყუჩებლით ჩანაცვლების საშუალება? დაფიქსირდა თუ არა „ნიმესილის“ ხშირი მიღების გამო ადამიანების სიკვდილიანობა ჩვენს ქვეყანაში და რატომ ინიშნება ის ბავშვებში?

**აღნიშნულ საკითხებზე „ალიას“ ფარმაცევტული საქმიანობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ნიკო გონგაძე ესაუბრა:**

**— „ნიმესილს“ ძალიან სერიოზული გვერდითი მოვლენები აქვს, ის აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, ამერიკაში, კანადაში, ავსტრიაში, თურქეთში, ინდოეთში და ა.შ. რადგან მის მოხმარებას მსხვერპლი მოჰყვა როგორც ასაკოვან ადამიანებში, ასევე ბავშვებში. როდესაც გვაქვს ფაქტები, რომ აღნიშნული მედიკამენტი ბევრ ქვეყანაშია აკრძალული, ჩვენთან რატომ არ ხდება მისი აკრძალვა? აქ აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ისიც, რომ ჩვენი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი მოიხმარს „ნიმესილს“.**

– კი, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, მაგ ქვეყნებში აკრძალულია, თუმცა ყველა ქვეყანაში არ არის აკრძალული. მისი საერთაშორისო სახელწოდებაა „ნიმესულიდი“, ამიტომ მეც ასე მოვიხსენიებ, რადგან დანარჩენი კომერციული, ბრენდული სახელწოდებებია.

ევროპის ქვეყნები, მაგალითად, იგივე გერმანია, რომელიც ევროკავშირის წამყვანი ქვეყანაა, უშვებს მაგ პრეპარატს და მის ბაზარზე არ არის აკრძალული. სხვა ქვეყნებშიც არ არის აკრძალული. საერთოდ, ბევრი ისეთი პრეპარატი არსებობს, რომელიც ზოგ ქვეყანაში აკრძალულია, ზოგან – არა. რაც შეეხება „ნიმესულიდს“: ჩვენ რასაკვირველია, გავითვალისწინეთ მისი პოტენციური რისკი და სარგებელი. თვითონ პრეპარატი, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში მოსახლეობა მას არარაციონალურად იყენებდა. თვითონ ინსტრუქციაშიც მითითებულია, რომ ეს პრეპარატი არ უნდა იქნეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოყენებული და მის გამოყენებას სჭირდება ლიმიტირებული პერიოდი. ნაცვლად ამისა, ნებისმიერი სახის თავის თუ რეპროდუქციული ხასიათის ტკივილის დროს, მას ხშირად იყენებდნენ, განსაკუთრებით ქალბატონები და იყენებენ დღესაც. აქედან გამომდინარე, ჩვენ ის შევიყვანეთ რეცეპტით გასაცემ პრეპარატთა სიაში, მით უმეტეს, რომ მწარმოებლებსაც, იმავე გერმანიაში, სარეცეპტურო პოზიციაში მითითებული აქვთ, რომ ის უნდა გაიცეს ექიმის დანიშნულებით და მეთვალყურეობით, რაც გამორიცხავს თვითნებურად ყიდვასა და მიღებას. ვინაიდან ამ პრეპარატს ახასიათებს გვერდითი მოვლენები, ეს მინიმალიზებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ პრეპარატი სწორად იქნება გამოყენებული. თქვენს მიერ ჩამოთვლილ ქვეყნებში, სადაც, მაგალითად, ადგილი ჰქონდა ღვიძლის დაზიანებას, მის ტრანსპლანტაციას, გულ-სისხლძარღვთა გართულებებსა და ა.შ. – ეს ყველაფერი ასოცირებული იყო ამ პრეპარატის არასწორ გამოყენებასთან. რახან ის ეფექტური ტკივილგამაყუჩებელია, მოსახლეობა აღარ უყურებს მის გვერდით ეფექტებს და ტკივილის სწრაფი მოხსნის გამო, მას ხშირად იღებენ, რაც ხდება სწორედ იმ მრავლობითი გვერდითი მოვლენების მიზეზი, რომლებიც შეიძლებოდა არ ყოფილიყო არც სხვა ქვეყნებში და არც აქ, საქართველოში.

**— როდესაც არსებობს სხვა ქვეყნებში „ნიმესილის“ თუნდაც არასწორი გამოყენების შემთხვევებში ლეტალობის ფაქტები, ეს ხომ გარკვეულწილად, რისკია უკვე? კი, ბატონო, დღეს ეს პრეპარატი რეცეპტზეა, მაგრამ არ შეიძლება რისკების შემცირების მიზნით, საერთოდ ამოვიღოთ ის ხმარებიდან და სხვა, ასევე, ეფექტური ტკივილგამაყუჩებლით ჩავანაცვლოთ?**

– არა, სიკვდილის ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ წამალი იქნება ბაზრიდან ამოღებული. სიკვდილიანობის შემთხვევები, „ნიმესულიდის“ გარდა, სხვა პრეპარატებთანაც ყოფილა დაკავშირებული, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოიყენება. ავიღოთ იგივე სტატინები, ანტიათეროსკლეროზული საშუალებები, მთელ მსოფლიოში გამოიყენება, მაგრამ სიკვდილის შემთხვევები მასთანაც არის ასოცირებული. „ანალგინი“ რომ „ანალგინია“, მასთან დაკავშირებითაც უამრავი სიკვდილის შემთხვევაა ასოცირებული, ანაფილაქსიური შოკი და ა.შ. ამიტომ სიკვდილის შემთხვევა თუ ძალიან გახშირდა და როცა პოტენციური რისკი აშკარად აჭარბებს სარგებელს, ასეთ შემთხვევაში დგება ხოლმე საკითხი და სხვათა შორის, ჩვენ ევროპის ცენტრალური ბიუროდან ამ შემთხვევაში ელექტროწერილს ვიღებთ რეკომენდაციით, რომ ესა და ეს პრეპარატი ამოღებულ იქნას ხმარებიდან. ჩვენ ადრეც გაგვიკეთებია ეს ნაწილ პრეპარატებთან დაკავშირებით. როდესაც ვახორციელებთ წამალთა პოლიტიკას, პირველ რიგში, რასაკვირველია, ორიენტაციას ვაკეთებთ წამყვან ევროპულ ქვეყნებზე.

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, საქართველოს მოსახლეობაში „ნიმესილის“ მოხმარებას თუ მოჰყოლია ადამიანის სიკვდილი?**

– არა, ჩვენთან ოფიციალური შეტყობინება, რაიმე რეკლამაცია „ნიმესულიდის“ გამოყენებასთან დაკავშირებულ სიკვდილიანობის შემთხვევასთან დაკავშირებით არ მიგვიღია. ბუნებრივია, მსგავსი შეტყობინებები რომ ყოფილიყო და თუ ეს გახშირდებოდა, ამ შემთხვევაში აუცილებლად სათანადო ზომებს მივიღებდით.

**— იქნებ ჩვენს მკითხველს ურჩიოთ, როგორია „ნიმესილის“ მოხმარების რაციონალური დოზა? მაგალითად, რამდენჯერ შეიძლება ადამიანმა მიიღოს ის დღის განმავლობაში, რომ არ ავნოს?**

– ინსტრუქციის მიხედვით, ადამიანმა შეიძლება ის მიიღოს დღეში მაქსიმუმ, ორჯერ. ზოგ პაციენტს, მოგეხსენებათ, შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური მგრძნობელობა. ზოგიერთი ჩვენი პაციენტი ოსტეოართრიტების დროს ქრონიკულად სვამს ამ პრეპარატებს, ან ნებისმიერი სახის თავის ტკივილის დროს იღებენ, რაც არ შეიძლება.

**— ბავშვებთან მიმართებაში რა ასაკიდან შეიძლება მისი გამოყენება?**

– 12 წლამდე ბავშვებში არ უნდა დაინიშნოს და მე რომ მკითხოთ, 12 წლის ზემოთაც არ უნდა დაინიშნოს, თუმცა ოფიციალურ ინსტრუქციაში მითითებულია, რომ 12 წლამდე ბავშვებისთვის მისი დანიშვნა რეკომენდებული არ არის. ძალიან ბევრი ტკივილგამაყუჩებელი არსებობს და სულაც არ არის საჭირო „ნიმესულიდის“ საყმაწვილო ასაკში დანიშვნა.

ჰაიდელბერგცემენტი შპს
HEIDELBERGCEMENT „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“

აცხადებს ფასთა გამოკითხვას:

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნების ტერიტორიაზე ნიველირების სპეციალისტის მომსახურებაზე, რომელიც მოიცავს:

ღუმელის ნიველირებას, მათი გეომეტრიული პარამეტრების შესაბამისობაში მოყვანას, საყრდენი გორგოლაჭების მდებარეობის კორექციას და სხვა.

დაინტერესებულ პირებს ან კომპანიებს შეუძლიათ მოგვამრთონ ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა 10.00-საათიდან 18.00 საათამდე, განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე: ლორთქიფანიძე № 4, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 247 47 47 (156)
+995 77 57 44 19

ელ. ფოსტა: salome.vashakidze@heidelbergcement.ge

სალომე ვაშაკიძე

წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 24 ნოემბერი.

# ნარმანიამ 2016 წლისთვის თბილისი საცობებისთვის გაწირა

## რამდენი მილიონი მოაკლო მერიამ საცობების პრობლემის მოგვარებას?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**რატომ შემცირდა სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის თანხები თბილისის 2016 წლის ბიუჯეტში? რატომ აღარ საუბრობენ ახალ ავტობუსებზე და რა პასუხი აქვს ყოველივე ამაზე ქალაქის ვიცე-მერს, ირაკლი ლექვინაძეს?**

**„ალიას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ქალაქი სატრანსპორტო კოლაფსისთვისაა განწირული. ბოლო რამდენიმე წელია, თბილისის ქუჩებში ავტოტრანსპორტის გადაადგილებით გამოწვეულმა საცობებმა იმატა, ავტოსატრანსპორტო გადაადგილება შეზღუდვით ხორციელდება არა მხოლოდ პიკის საათებში, როდესაც თითქმის პარალიზებულია დედაქალაქის ყველა სტრატეგიული სატრანსპორტო კვანძი, არამედ დღის სხვა დროის მონაკვეთებშიც.

2005 წლიდან დღემდე ყოველწლიურად საქართველოს ავტოპარკს დაახლოებით 100 000 ავტომობილი ემატებოდა. 2012 წლის მონაცემებით, 900 000 ავტომობილი იყო რეგისტრირებული, დღეს რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა. პრობლემა ისაა, რომ ავტომობილების მატებასთან ერთად, შესაბამისად, ვითარდებოდა საგზაო ინფრასტრუქტურა, შენდებოდა ახალი ხიდები, ესტაკადები, გვირაბები, ჩქაროსნული მაგისტრალები, გადასასვლელები, ხდებოდა საგზაო ნიშნების მოდერნიზება და პარკირების სისტემის მეტ-ნაკლებად მოწესრიგებაც.

2012 წლის შემდეგ ეს პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა, რამაც გამოიწვია ბალანსის დარღვევა, ავტომობილების რაოდენობის ზრდის კოეფიციენტი ბევრად აღემატება ქალაქის ურბანული და ინფრასტრუქტურული განვითარების კოეფიციენტს. პრევენციული ღონისძიებები ადგილობრივი თვითმმართველობის დასაგეგმია, თუმცა, ამის მიუხედავად, თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში არ იყო თანხები გამოყოფილი ახალი ესტაკადების, ხიდების, გვირაბების, შემოვლითი მაგისტრალების, პარკირების სისტემის, მიწისზედა გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. 2015 წლის თბილისის ბიუჯეტი ითვალისწინებდა მხოლოდ არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა შეკეთებას, დაზიანებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზებისა და შიდა ეზოების მოვლა-შეკეთებას, რამაც საბოლოოდ კატასტროფულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

თბილისში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურაც კი არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ არ ყოფილიყო ინტენსიური საცობების საშიშროება, მაგრამ დღევანდელი მონაცემებით სიტუაცია ბევრად უფრო მძიმეა. მას მერე, რაც დაიწყო აქტიური სასწავლო და სამუშაო წელი და მოძრავი ავტომობილების რაოდენობა გაიზარდა, მოხდა მოძრაობის გარდაუვალი პარალიზება. მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება ნალექის მოსვლის შემთხვევაში, ვინაიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობის კოეფიციენტი ბევრად უფრო მცირდება, როცა ვიღებთ ნალექს – თოვლის, ან ინტენსიური წვიმის სახით და ამას ემატება ტემპერატურის ვარდნა და ყინვები. თბილისის მოსახლეობასთან ერთად, განსაკუთრებული პრობლემები შეექმნა საგანგებო სიტუაციების სამსახურის (სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო და სხვა სამაშველო) ავტომობილების გადაადგილებას, რაც, არაერთხელ გახდა უბედური შემთხვევების ტრაგიკულად დასრულების სტატისტიკის ზრდის მიზეზიც. საფრთხის წინაშე დადგა ადამიანის ჯანმრთელობა და მათი სიცოცხლე.

დღეს, უკვე, საცობების პრობლემა გასცდა ქუჩებს და გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ჯანდაცვაზე, ეკოლოგიაზე და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე, გამომდინარე იქიდან, რომ პრობლემა ექმნება ადამიანების გადაადგილებას, რაც პირდაპირ კავშირშია თითოეული ადამიანისა და ორგანიზაციის ეფექტურ საქმიანობასთან. ჩვენი ორგანიზაცია, კვლევებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ 2014 წლის შემოდგომიდან საუბრობდა მოსალოდნელ სატრანსპორტო კრიზისთან დაკავშირებით. არაერთხელ მივმართეთ რეკომენდაციებითა და რჩევებით თბილისის მერიას, ექსპერტებთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშავეთ დოკუმენტი, სტრატეგია „სმარტ სითი“, სადაც დეტალურად გაწერილია რეკომენდაციები, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თბილისის ქუჩებში მოძრაობა განიტვირთოს. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი მოთხოვნა იყო, თბილისის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში, პრიორიტეტად ყოფილიყო ახალი ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რაც გამოიყვანდა თბილისს სატრანსპორტო კრიზისიდან.

**— რა ხდება თბილისის 2016 წლის ბიუჯეტში, არის გათვლილი თანხები ამჯერად მაინც ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, რაც, ასე თუ ისე, მოაწესრიგებდა საცობების პრობლემას?**

– თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით ქალაქი სატრანსპორტო კოლაფსისთვისაა განწირული. იმის ნაცვლად, რომ ძირითადი პრიორიტეტი ყოფილიყო ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სატრანსპორტო სისტემის განვითარება და თანხების ძირითადი ნაწილის ამ მიმართულებით აკუმულირება მომხდარიყო, ყველაფერი საპირისპიროდაა. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის ბიუჯეტი შემცირებულია 10 მილიონ 400 ათასი ლარით, 2015 წელს 115 776,8 მილიონი ლარი იყო, 2016 წელს 105 200,0 მილიონია. საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა-მოვლა-შეკეთების ბიუჯეტი შემცირებულია 8 მილიონ 304 ათასით, 2015 წელს 85 804,4 მილიონი იყო და 2016 წელს 7 7500,0 მილიონს შეადგენს. ტრანსპორტის განვითარების ბიუჯეტი შემცირებულია 2 მილიონ 272 ათასით, 2015 წელი – 2 9972,4, 2016 წელი – 2 7700,0. 1 მილიონ 404 ათასით შემცირებულია საქალაქო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ბიუჯეტი. თანხები საერთოდ არ არის გათვალისწინებული საქალაქო სატრანსპორტო საშუალებების მოდერნიზებისთვის და ასევე ბუნდოვნად რჩება ახალი ავტობუსების შეძენის საკითხი, თბილისის 2016 წლის ბიუჯეტით ეს არ არის გათვალისწინებული.

საბაგირო ტრანსპორტის განვითარებისთვის არის გამოყოფილი 7 მილიონი ლარი, რაც მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ საბაგირო ტრანსპორტის განვითარებით შეუძლებელია თბილისის ქუჩების საცობებისგან განტვირთვა.

თბილისის ყველა მოქალაქეს, შეუიარაღებელი თვალითაც შეუძლია შეამჩნიოს, როგორი სატრანსპორტო მოძრაობაა ქალაქში, ყველას კარგად გვახსოვს თბილისის მერიის მიერ განხორციელებული ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები 2015 წლის განმავლობაში, შესაბამისად მარტივად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, შემცირებული ბიუჯეტის საფუძველზე, რა შედეგი შეიძლება მივიღოთ. ვიმეორებ – თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ქალაქი სატრანსპორტო კოლაფსისთვისაა განწირული.

**— რა უნდა გააკეთოს მერიამ, რომ კოლაფსი არ მივიღოთ?**

– ჩვენს ორგანიზაციას ჯერჯერობით არ გვაქვს დეტალური ინფორმაცია, იმის შესახებ, რა კონკრეტულ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს გეგმავს ამ ბიუჯეტით თბილისის მერია 2016 წელს, თუმცა თვალნათლივ ჩანს, რომ დედაქალაქის მთავრობისთვის არ არის პრიორიტეტი თბილისის სატრანსპორტო სისტემის განვითარება და საცობების აღმოფხვრა. ავტომობილების რაოდენობასთან ერთად, ზრდას განაგრძობს ახალი საცხოვრებელი და კომერციული ობიექტების მშენებლობა, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში. თბილისის მერიის გულგრილი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი დედაქალაქს ჩიხში შეიყვანს.

**— რამე ნაბიჯების გადადგმას ხომ არ გეგმავთ, რომ აიძულოთ ქალაქის მთავრობა, ამ მიმართულებით ცვლილებები შეიტანოს ბიუჯეტში?**

– ჩვენ, მომდევნო კვირიდან აქტიურად მივიღებთ მონაწილეობას ბიუჯეტის პროექტის განხილვაში საკრებულოში. ვეცდებით, ადვოკატირება გავუწიოთ ბიუჯეტის პროექტის ცვლილებას და საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით ბიუჯეტის გაზრდას. ვეცდებით მაქსიმალურად დავიცვათ საზოგადოების ინტერესები და თბილისს თავიდან ავაცილოთ მოსალოდნელი სატრანსპორტო კოლაფსი.



**„თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ქალაქი სატრანსპორტო კოლაფსისთვისაა განწირული. ბოლო რამდენიმე წელია, თბილისის ქუჩებში ავტოტრანსპორტის გადაადგილებით გამოწვეულმა საცობებმა იმატა, ავტოსატრანსპორტო გადაადგილება შეზღუდვით ხორციელდება არა მხოლოდ პიკის საათებში, როდესაც თითქმის პარალიზებულია დედაქალაქის ყველა სტრატეგიული სატრანსპორტო კვანძი, არამედ დღის სხვა დროის მონაკვეთებშიც“**

**ვასო ურუშაძესთან საუბრის შემდეგ, თბილისის მერიის პრესსამსახურთან დაკავშირება ვცადეთ. გვაინტერესებდა, რით ხსნიდა მერია ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საბიუჯეტო თანხების შემცირებას, ასევე, დავინტერესდით, რატომ არაფერია ნახსენები ბიუჯეტის პროექტში ახალ ავტობუსებზე?**

მიუხედავად რამდენიმეგზის მცდელობისა, პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ნონა ყანდიაშვილმა, ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. ვერ დავუკავშირდით მერიის პრესსამსახურის იმ წარმომადგენელსაც, რომელთანაც ხშირი და ნორმალური თანამშრომლობა გვაკავშირებდა.

**ამის შემდეგ, თბილისის ვიცე-მერ ირაკლი ლექვინაძეს დავუკავშირდით და საკითხის საქმის კურში ჩავაყენეთ:**

– დაურეკეთ პრესსამსახურს და გიპასუხებთ.

**— უკვე დიდი ხანია ვცდილობთ დაკავშირებას, მაგრამ არ გვპასუხობენ.**

– აბა, რა გითხრათ, რეგლამენტი ასეთია.

**— იქნებ მოგვესმინათ რა გვაინტერესებს და მერე გვესაუბრა რეგლამენტზე — გვაინტერესებს, ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საბიუჯეტო თანხების შემცირება რატომ გადაწყდა. რატომ არაფერია ნახსენები 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ახალ ავტობუსებზე?**

– პრესსამსახურს უნდა ჰკითხოთ ეს ამბავი და გაგცემენ აუცილებლად პასუხს.

**— პრესსამსახურმა იცის ამ საკითხზე პასუხი და თქვენ არ იცით?**

– სხვას ვერაფერს გეტყვით, რეგლამენტი გვაქვს ასეთი.

**P.S. არა რა... ახლა, მიდი და გაიგე, ვიცე-მერი პასუხს გაექცა, თუ მართლა რეგლამენტის დარღვევას მოერიდა...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართველების 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო სამბოს მსოფლიო ჩემპიონატზე



მაროკოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოს სტილით ქართველმა მოჭიდავეებმა 8 მედალი ინდივიდუალურ ასპარეზობაში, 1 კი – გუნდურად მოიპოვეს.

ქართველმა სპორტსმენებმა სულ 9 მედლის მოპოვება შეძლეს, მათ შორის 3 მედალი ქალ მოჭიდავეებს ეკუთვნით.

60 კგ წონით კატეგორიაში შორენა შოთაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 68 კგ წონით კატეგორიაში ნინო ობელაშვილმა და 80 კგ წონით კატეგორიაში ელენე ქებალაძემ კი ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები მოიპოვეს 57 კგ წონით კატეგორიაში ვახტანგ ჩიდრაშვილი და 100 კგ წონით კატეგორიაში დავით ლორაშვილი.

68 კგ წონით კატეგორიაში ლევან ნახუცრიშვილმა, 74 კგ წონით კატეგორიაში ბესარიონ ბერულავამ და +100 კგ წონით კატეგორიაში ბექა ბერძენიშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები ფინალში რუსეთთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. (ipress.ge)

## ამერიკის ავიაციამ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ 116 ბენზინმზიდი გაანადგურა

ამერიკულმა საჰაერო ძალებმა სირიაში პირველად მიიტანეს იერიში ავტოტრანსპორტზე, რომლებსაც ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობის გადაზიდვისთვის იყენებს.

აშშ-ის საჰაერო ძალებმა დაბომბეს ცისტერნები, რომლებითაც „ისლამურ სახელმწიფოს“ სირიაში დაპყრობილი ტერიტორიებიდან ნავთობი გადაჰქონდა. ავიაიერიშების შედეგად, 295 სატრანსპორტო ცისტერნიდან 116-ია განადგურებული.

აღნიშნული ავიაიერიშები ბევრად უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციის ნაწილია, რომელიც იმ ინფრასტრუქტურის განადგურებას ისახავს მიზნად, საიდანაც „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობით მარაგდება. აქამდე, აშშ ცისტერნების აფეთქებისგან თავს იკავებდა, რათა უდანაშაულო მოქალაქეები არ დაზარალებულიყვნენ.

აშშ-ის შეფასებით, „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობის ექსპორტიდან ყოველთვიურად 40 მილიონ აშშ დოლარს იღებს. ტერორისტების ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად, ვაშინგტონი ახალ ოპერაციას „მოქცევის ტალღა I“-ს იწყებს. (რეპორტიორი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# სპეცსამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდას, „ოცნებას“ ურჩევნია, ხალხს საკუთარი თავის დაცვის საშუალება მისცეს და იარაღის ტარება დაუკანონოს!



თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდაზე ალაპარაკდა:

– იმის გამო, რაც პარიზში მოხდა, რა რისკებსა და საფრთხეებს ხედავს მთელი მსოფლიო ტერორიზმთან მიმართებაში, თავისთავად ცხადია, ქვეყნებს საკუთარი სტრატეგიის, მათ შორის რესურსების მხრივ შესაძლებლობების გადახედვა, გაძლიერება და გაუმჯობესება მოუწევთ. ამაზე ცხადია, ჩვენი მთავრობაც იმუშავებს, – განაცხადა მან.

**რა იგულისხმება რესურსების გადახედვა-გაძლიერებაში? სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის დაფინანსების გაზრდა იქნება კი იმის ერთგვარი გარანტი, რომ საქართველოში ტერორისტული აქტები არ განხორციელდება?**

**„ალიას“ ირაკლი სესიაშვილი** ესაუბრა:

**— უსაფრთხოების სამსახურების დაფინანსების გაზრდას და ამ კუთხით რესურსების გადახედვას არ გამორიცხავთ და შესაბამისი ინიციატივით მთავრობამ პარლამენტს უნდა მიმართოსო, ამბობთ. შესაბამისი სამსახურები ისედაც ახორციელებენ სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის კონკრეტულ ქმედებებს. რას გულისხმობდით რესურსების გაუმჯობესების გადახედვაში? რაიმე ტიპის დამატებითი ტექნიკის, შეიარაღების შეძენას?**

– მე რომ ახლა გელაპარაკოთ და გითხრათ, რომ ტექნიკური საშუალებების შეძენა უნდა მოხდეს თუ სხვა ამდაგვარი რამ, ამაზე ვერ გიპასუხებთ იმდენად, რამდენადაც ეს ოპერატიულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და დეტალებზე საჯაროდ ვერ ვისაუბრებ. თუმცა უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია პარლამენტისა და ნდობის ჯგუფის წინაშე და ცხადია, ამ საკითხებს შევეხებით იქ, სადაც ამის კანონიერი უფლება გვექნება.

**— თუკი დაფინანსების ზრდა გადაწყდება, ეს თავისთავად, ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს. მაქვს ასეთი კითხვა: ხომ არ აჯობებს, რესურსების გადახედვა-გაუმჯობესების ნაცვლად, მთავრობამ ქვეყნის საზღვარზე მიგრანტთა შემოსვლის პოლიტიკას გადახედოს და ამაზე კონტროლი გამკაცრდეს?**

– არ შეიძლება, საზღვრების, მიგრანტების საკითხი სუს-ის დაფინანსებას შევადაროთ, რადგან თქვენ ხომ არ იცით, როგორ რეგულირდება მიგრანტების საკითხი დღესდღეობით? 2012 წლამდე წინა ხელისუფლებას საერთოდ არ ჰქონდა პოლიტიკა მიგრანტებთან მიმართებაში და ჩვენ არა მხოლოდ პოლიტიკა განვსაზღვრეთ ამასთან მიმართებაში, არამედ შესაბამისი წესები შევიმუშავეთ, მთელი რიგი ღონისძიებები გავატარეთ, რასთან დაკავშირებითაც ძალიან პოზიტიური შეფასებები მივიღეთ როგორც ნატოს, ევროკავშირის, ასევე, სხვა პარტნიორული ქვეყნებისგან. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანას გაცილებით წინ აქვს ნაბიჯები გადადგმული, ვიდრე, მაგალითად, შუა ევროპაში მყოფ რამდენიმე ქვეყანას, რომელიც ევროპისკენ მიილტვის. ასე რომ, როცა ასეთ კრიტიკულ ასპექტში ისმება კითხვა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხალხმა, ექსპერტებმა, გარკვეულმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ასეთ საკითხებს აფასებენ, არ იციან, უბრალოდ, რა ხდება და არც უნდა იცოდნენ, რადგან რიგ შემთხვევებში ეს საიდუმლო ინფორმაციაა, რიგ შემთხვევებში კი ღიაა, თუმცა ამ ღია ინფორმაციის ნახვით არ ინტერესდებიან. მაგალითად, ირმა ნადირაშვილი გამოვიდა დღეს (ინტერვიუ ჩაწერილია 16 ნოემბერს. – ნ.ლ.) და უსაფრთხოების სამსახურები გააკრიტიკა ისე, რომ წარმოდგენაც არ აქვს, აზრზე არ არის, როგორ მუშაობს უსაფრთხოების სამსახური და არც უნდა იცოდეს, ამ სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მას სპეციფიკურ ინფორმაციებზე წვდომა არ აქვს, მაინც გამოდის და აკრიტიკებს, რადგან მოდაშია ეს, ტელევიზიით უნდა გამოჩნდეს და საკუთარი კრიტიკული აზრი დააფიქსიროს, თორემ რეალურად, რა კეთდება და რა მიღწევებია, ამის ცოდნის სურვილიც არ აქვს. კიდევ ერთ-ერთი ექსპერტი გამოდის და რაღაც მიმართულებებით აქცენტებს აკეთებს. კი, კარგია ეს, რომ აქცენტები კეთდება, რადგან ესე იგი, საზოგადოებას აინტერესებს და გარკვეულწილად ჩართულია ამ პროცესებში, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ: კონტრდაზვერვითი საქმიანობა დაკავშირებულია სპეციფიკურ მოქმედებასთან, რომელიც ვერ იქნება საჯარო და ჩვენ, პოლიტიკოსები, იმიტომ ვარსებობთ, რომ ამაზე პასუხისმგებლობა ავიღოთ და ვთქვათ – რაღაცას აქვს ხარვეზი, რაღაცას – არა. საზოგადოების შეცდომაში შეყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ, არასერიოზულია და პირადად ჩემში, გარკვეულწილად აღშფოთებას იწვევს.

**— სულ რამდენიმე დღის წინ მომსწრენი გავხდით, რა მოხდა პარიზში, ევროპის ერთ-ერთ სუპერქვეყანაში, რომელსაც მაღალი თავდაცვისუნარიანობა აქვს. თუმცა ამის მიუხედავად, სწორედ იქ მოხდა მრავალჯერადი ტერორისტული აქტი. ჩვენ თუ გავზრდით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსებას, აღვჭურავთ დამატებითი ტექნიკითა თუ შეიარაღებით, ეს როგორ იქნება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის გაძლიერება, როცა იმავე საფრანგეთში სისხლიანი კალო დაატრიალეს ტერორისტებმა?**

– ეს რიტორიკული კითხვა ყოველთვის იარსებებს, რადგან ტერორიზმი იმდენად უხილავი საფრთხეა, რომლის წინააღმდეგ მარტო გამკლავება არ არსებობს. ამიტომ არის ის აღიარებული ყველაზე დიდ საფრთხედ, რადგან მტერს ვერ ხედავ და საიდან დაგარტყამს, კაცმა არ იცის. მით უმეტეს, დღეს საფრანგეთის შემთხვევაში, პარიზის ტერაქტის განხორციელებაში საფრანგეთის მოქალაქეები იყვნენ ჩართულები. ასე რომ, როდესაც შესაძლებლობებისა და დაცვის გაზრდაზე ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ რისკების შემცირებაზე, რაც შეიძლება არსებობდეს ამ კუთხით. თუნდაც, სიტყვაზე ვამბობ: ერთი თანამშრომელი რომ დაამატონ სუს-ში და ამ ერთმა კაცმა ტერორისტული აქტის პრევენცია მოახდინოს, თქვენ ხვდებით, რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადარჩება? დაფინანსების გაზრდა პირდაპირპროპორციული ვერ იქნება საფრთხეების შემცირებასთან მიმართებაში, ან ვერ იქნება, ზოგადად, გარანტიის მიცემა, რომ ტერორისტული აქტები საერთოდ აღარ იქნება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, რაც უფრო მეტ რესურსსა და ყურადღებას ვუთმობთ ამ საკითხს, ეს მით უფრო ამცირებს რისკებს, ეს ფაქტია და მე მგონი, საზოგადოება ამას სწორად გაიგებს.

*რედაქციისგან:* **საფრანგეთზე, ინგლისზე, ამერიკაზე მეტ რესურსს საქართველო ფიზიკურად ვერ გამოყოფს, სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით!**

**ჰოდა, ახლა დაფიქრდით — პარიზში, იმ კონცერტზე მყოფ მოქალაქეებს იარაღის ტარების უფლება რომ ჰქონოდათ, თავდამსხმელებს ხომ მოიგერიებდნენ და მსხვერპლიც ხომ გაცილებით ნაკლები იქნებოდა? რა თქმა უნდა! აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, გონს მოეგეთ და საკუთარი ქვეყნის კანონმორჩილ მოქალაქეებს მიეცით იმის საშუალება, ნებისმიერ გარეწარს — ტერორისტი იქნება, ყაჩაღი თუ სექსუალური მანიაკი, თავად გაუმკლავდეს, თავად გასცეს საკადრისი პასუხი.**

**ტრაგედიის მერე ყველამ იცის ტირილიცა და გულის ამაჩუყებელი სამძიმრის ტექსტების გამოცხობაც, მაგრამ იმას კი არავინ ფიქრობს, რომ მსგავსი სისხლისღვრის აცილება შესაძლებელია და ამისთვის ტვინის უკეთ გაყანყალება და ნორმალური კანონის მიღებაა საჭირო.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მშენებლობაზე უბედური შემთხვევის შედეგად 25 წლის მამაკაცი გარდაიცვალა



კასპში მომხდარ უბედურ შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე, სადაც ფუნდამენტის სამუშაოები მიმდინარეობდა, მიწა ჩაიშალა და ორი ადამიანი ჩავარდა. ერთ-ერთი მათგანის გადარჩენა მოხერხდა, მეორე კი ადგილზე გარდაიცვალა.

აღნიშნულ მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული ერთ-ერთი კომპანია აწარმოებს. რაც შეეხება გარდაცვლილს, ის, სავარაუდოდ, კასპის მცხოვრები არ არის და სამშენებლო კომპანიას დაქირავებული ჰყავდა.

გარდაცვლილი 25 წლის ახალგაზრდაა. რაც შეეხება შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გოჩა გოჩიტაშვილი ამბობს, რომ მომხდარის თაობაზე გამოძიება ჩატარდება და შესაბამისად, გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა, რა გახდა მიწის ჩამოშლის მიზეზი. თუმცა, მუნიციპალიტეტის გამგებელი არც იმას გამორიცხავს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ხანგრძლივი წვიმების შედეგად, შესაძლოა, მიწა ნალექით, ტენით იყო გაჯერებული, რამაც მიწის ჩამოშლა გამოიწვია. უბედური შემთხვევის ზუსტი მიზეზის დასადგენად ექსპერტიზა ჩატარდება. (ambebi.ge)

## „ამასობაში კი გაფრინდა ცაში „რუსთავი 2-ის“ რეიტინგი...“ — ინგა გრიგოლია



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია მედიაში მიმდინარე მოვლენებს სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– ხოოოო... ეომეთ... ეომეთ კრიტიკულ გადაცემებს... დახურეთ... გააქრეთ და ისედაც ხომ არ აკლდა და კი გაფრინდა ცაში ამასობაში „რუსთავი 2“-ის რეიტინგი... ეხლა გადავხედე ბოლო დღეების რეიტინგებს და რაც გავიფიქრე, კი დავწერე აგერ სტატუსში... როცა რომელიმე მედიასაშუალების ან გადაცემის გაქრობა გინდათ იმის გამო, რომ არ მოგწონთ სიმწვავე და სიმძაფრე, მერე უკურეაქციას რომ იწვევს ხოლმე ასეთი გადაწყვეტილებები, წინა ხელისუფლების მაგალითი მაინც არ გიდევთ ცხვირწინ??? მართლა ცაშია გაფრენილი... – წერს ინგა გრიგოლია. (ნიუპოსტი)

# ვახტანგ მაისაია: „ამ ჯგუფების მიზანია დივერსიების მოწყობა, თვითმფრინავების აფეთქება, ევროპასა და კავკასიაში ტერორისტული შეტევების მომზადება“

## რა კავშირი აქვს ოდესის პოლიციის შეფს, გია ლორთქიფანიძეს „ბოევიკებთან“?







ნინო სამხარაძე
599 71-14-22

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს მისამართით მუქარის შემცველი წერილების ირგვლივ გამოძიება დაიწყო, ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ საქართველოც მონიშნა. უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტები ცდილობენ, პანიკა არ დათესონ, ვარაუდობენ, რომ ტერორისტების სამიზნე საქართველოში შესაძლოა, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის საელჩოები აღმოჩნდნენ. ბელგიიდან დაბრუნების შემდეგ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომას მოიწვევს, სადაც ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები განიხილება. ქვეყნის ძალოვანი უწყებები გაძლიერებული რეჟიმით მუშაობენ, პრევენციის მიზნით, არ არის გამორიცხული, ჩატარდეს რეიდები. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ტერორიზმის პოტენციური საფრთხის წინაშე ვდგავართ.

**უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია, რომელიც ამჟამად დასავლეთის ანალიტიკური წრეების მიწვევით ვარშავაში ანტიტერორისტულ კონფერენციაზე იმყოფება, „ალიასთან“ იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომელიც შესაძლოა საქართველოს დაემუქროს:**

– პირველი საფრთხე, ეს არის შავი ტრანზიტი, ანუ ე.წ. შავი სატრანზიტო ჰაბის ფუნქცია, რომელსაც გამოიყენებენ ისლამისტური ორიენტაციის ტერორისტული დაჯგუფებები, როგორც მათთვის მნიშვნელოვან ტერიტორიას. საქართველო, ეს არის დამაკავშირებელი დერეფანი სირიასთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, ავღანეთთან, „ისლამურ ხალიფატს“ ჰაერივით სჭირდება ავღანეთში თავისი ძალების მობილიზაცია და მეორე ფრონტის გახსნა ამ მიმართულებით. ასევე, მათთვის მნიშვნელოვანია საქართველოს დერეფანი რუსეთის მიმართულებით. საქართველოს დერეფანი, ასევე, გამოყენებული იქნება ევროპის მიმართულებით გადასაადგილებლად.

**— რამე საფრთხეს უნდა ველოდოთ პანკისიდან წასული მოხალისე მებრძოლებისგან, რომლებიც ე.წ. ისლამურ ხალიფატში გაწევრიანდნენ?**

– საქართველოდან, სულ მცირე, 300-დან 400 კაცამდეა წასული. რთულია იმის თქმა, რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ მათგან. მე არ მინდა პანიკა დავთესო. გაითვალისწინეთ ის ფაქტორიც, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო დროს ბევრ ისლამისტს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა და არავინ იცის, აქედან ვინ ტერორისტი და ვინ რადიკალი იყო. მე მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, გამოიძიონ ლაფანყურის სპეცოპერაცია და მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა. საქმე ის გახლავთ, რომ ლაფანყურის საქმესთან დაკავშირებული პირებიდან, რომლებიც კავკასიურ საამიროს ემორჩილებოდნენ, შემდეგ ბევრი მებრძოლი აღმოჩნდა „ისლამური ხალიფატის“ მხარეს, იგივე „ზოონი“, რომელიც ლაფანყურის მომზადებაში მონაწილეობდა და ახმედ ჩატაევი, რომელიც „ისლამურ ხალიფატში“ იბრძვის და ერთ-ერთი ლიდერია. ვინც ლაფანყურის სპეცოპერაციაში ფიგურირებდა, დღეს არის ოდესის პოლიციის შეფი, ვგულისხმობ გია ლორთქიფანიძეს. ეს კი ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩეჩნები პანკისის ხეობიდან და ქართველი ოფიცრები, რომლებმაც აღმოსავლეთ უკრაინაში მომზადება გაიარეს, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მხარეს იბრძვიან. ამ ჯგუფების მიზანია დივერსიების მოწყობა, თვითმფრინავების აფეთქება, ევროპასა და კავკასიაში ტერორისტული შეტევების მომზადება.

ტერორისტები კარგად ახდენენ სოციალურ ადაპტირებას. მათ აქვთ შემუშავებული სტრატეგია, როგორ გადმოიბირონ სახელმწიფო მოხელე. ამაზე მუშაობს ცალკე ჯგუფი. ამიტომაც საქართველოს სპეცსამსახურებს დიდი მუშაობა მოუწევთ, რათა ასეთი ჯგუფები გამოავლინონ და თავიდან ავიცილოთ ტერორიზმის საფრთხე. თუ ეს ავტონომიურად მოქმედი ჯგუფი, რომელიც ქსელურად მუშაობს, მოსპეს, საქმის 80% გაკეთებულია.

**— თამაზ ჭალალიძის შემდეგ, რომელმაც 7 იანვრის „შარლი ებდოს“ რედაქციაზე ტერორისტული აქტის შემდეგ მუქარის წერილი გამოაქვეყნა, რომ ქართველების სისხლს დალევენ, მათ ზუსტად იციან მათი ვინაობა, ვინც მონაწილეობს ანტიტერორისტულ ოპერაციებში, მუქარის შემცველ განცხადებებს ავრცელებს ვინმე პაიჭაძე „ისლამური ხალიფატის“ სახელით. როგორ ფიქრობთ, მათი მუქარა განხორციელდება?**

– ჩვენ არასწორი წარმოდგენა გვაქვს „ისლამურ ხალიფატზე“, გვგონია, რომ ეს არის ძალიან დიდი ტერორისტული ორგანიზაცია. ნურას უკაცრავად, „ისლამური ხალიფატი“ გასცდა ტერორისტულ ორგანიზაციას, ეს არის ისეთივე სახელმწიფო, როგორიც არის სხვა, მას აქვს ყველა სახელმწიფოებრივი ატრიბუტი და „ისლამური ხალიფატისადმი“ მიდგომა არასწორია, როცა მას როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას, ისე უყურებენ, არ შეიძლება ერთ დონეზე განვიხილოთ „ალ-ქაიდა“ და ე.წ. ისლამური სახელმწიფო, ამ უკანასკნელს ჰყავს ძალიან ძლიერი სპეცსამსახურები, რომელიც არის ტერორიზმის სპონსორი. „ისლამური ხალიფატის“ სპეცსამსახური თავად გეგმავს ტერორისტულ აქტებს. ეს მესიჯი მინდა გადავცე ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც ამ სენთან ბრძოლაშია ჩართული. რაც შეეხება მუქარას, ფაქტია, რომ „ისლამურმა ხალიფატმა“ საინფორმაციო ომი გაგვიხსნა, ჩვენ უკვე ვნახეთ სამი მუქარის გზავნილი, ამას მოჰყვება პროპაგანდისტული ომი, ვიდეორგოლების გავრცელება. ჩვენ ვხედავთ, რომ შემოდიან საინფორმაციო ველში, იმედია, სპეცსამსახურები გამოიძიებენ და ამ ყველაფერს გაგრძელება არ მოჰყვება.

**— „ისლამურმა ხალიფატმა“ გაავრცელა მიმართვა, რომ პარიზის შემდეგ მათი სამიზნე იქნება ვაშინგტონი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ირანი. საქართველო ჯერჯერობით მათ სიაში აქტიურ გრაფაში არ იძებნება. თუმცა სიის ბოლოში საქართველოც არის მიწერილი. მაშ ასე, რატომ საქართველო?**

– თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ვართ დასავლური ორიენტაციის სახელმწიფო, ანტიისლამური ხალიფატის კოალიციის წევრი, ჩვენ ვგმობთ ტერაქტებს, ვმონაწილეობთ ანტიტერორისტულ ოპერაციებში, რაც სავსებით საკმარისია მათთვის, რომ მიზანში ამოგვიღონ. საქართველო მონაწილეობს ავღანეთში, სამშვიდობო ოპერაციებში და დღეს „ისლამური ხალიფატი“ „თალიბანის“ სტრატეგიული მოკავშირეა. ფაქტობრივად, ახორციელებენ ერთობლივ სამხედრო ოპერაციას. ისინი გამოჩნდებიან ცენტრალურ აზიაში და პარიზის ტერაქტი მოსაგონი გახდება. შემდეგ კი მათი სამიზნე გახდება რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკა... იცით, რატომ იყო მათი სამიზნე პარიზი? პირველ რიგში იმიტომ, რომ სირია გახლდათ საფრანგეთის მეტროპოლია, სირიამ საფრანგეთისგან დამოუკიდებლობა 1946 წელს მიიღო, 1919 წლიდან საფრანგეთის კოლონია გახლდათ, თანაც „ისლამურ ხალიფატს“ ოფიციალურმა პარიზმა უფრო დიდი ზიანი მიაყენა, ვიდრე ამერიკამ და რუსეთმა ერთად აღებულმა. ამიტომაც იყო, რომ ასეთი მასშტაბური დარტყმა მიაყენეს პარიზს. ამ ტერაქტამდე საფრანგეთის სამხედრო ავიაციამ, ფაქტობრივად, გაანადგურა „ისლამური ხალიფატის“ სანავთობო ინფრასტრუქტურა, რაც მათი შემოსავლის ძირითადი წყარო იყო. „ისლამური ხალიფატი“ ამ ეტაპზე ტრაფარეტული საფრთხეა, რომელიც ყოველგვარ საზღვრებსაა გაცდენილი. საჭიროა დრო, რომ საბოლოოდ მოხდეს მისი დამარცხება.

**„ვინც ლაფანყურის სპეცოპერაციაში ფიგურირებდა, დღეს არის ოდესის პოლიციის შეფი, ვგულისხმობ გია ლორთქიფანიძეს. ეს კი ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩეჩნები პანკისის ხეობიდან და ქართველი ოფიცრები, რომლებმაც აღმოსავლეთ უკრაინაში მომზადება გაიარეს, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მხარეს იბრძვიან. ამ ჯგუფების მიზანია დივერსიების მოწყობა, თვითმფრინავების აფეთქება, ევროპასა და კავკასიაში ტერორისტული შეტევების მომზადება“**

## ლევან იზორია — გამოძიება არა უკრაინულ ვებ-გვერდზე ატვირთული მასალების, არამედ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ლევან იზორიას განცხადებით, სსსკ-ის 315-ე მუხლით გამოძიება არა უკრაინულ ვებ-გვერდზე ატვირთული მასალების, არამედ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო. ამის შესახებ იზორიამ „მაესტროს ფაქტორში" სტუმრობისას განაცხადა.

– გამოძიებას საფუძვლად არ ედო ის ჩანაწერები, რომლებიც აიტვირთა უკრაინულ ვებგვერდზე, არამედ გამოძიებას საფუძვლად ედო ოპერატიული ინფორმაცია, რომლის დეტალებზე საჯაროდ ვერ ვისაუბრებ, თუმცა საჯაროდ ამის შესახებ განცხადება გაკეთდა. რაც შეეხება შემდგომ, დაწყებული გამოძიების ფარგლებში მოხდა სწორედ ამ ჩანაწერების უკრაინულ ვებგვერდზე ატვირთვა, რაც დამატებითი საფუძველი გახდა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისთვის სწორედ იმ დაწყებული გამოძიების ფარგლებში. გამოძიების პროცესი დღესაც გრძელდება. ამაზე ახლო წარსულში ამერიკის ელჩმაც გააკეთა განცხადება და მან პირდაპირ თქვა, რომ ყველანაირი ძალადობის შემცველი მოწოდებები უნდა იყოს დაგმობილი და გაამართლა სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მოქმედება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ პროცედურულადაც ვალდებულები ვართ, გამოძიება დავიწყოთ, – განაცხადა იზორიამ.

გარდა ამისა, ლევან იზორიამ ასევე განაცხადა, რომ სუს-მა შესაძლოა, ISIS-თან კავშირის გამო რამდენიმე პირის სამართლებრივი დევნა დაიწყოს. მისი თქმით, ქართულ ენაზე ISIS-ის პროპაგანდისტული არაერთი გვერდი არსებობს, რაზეც გამოძიება მიმდინარეობს.

– გამოძიება დაწყებულია და ბუნებრივია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვატარებთ ოპერატიულ ღონისძიებებს, მათ შორის, აქტიური მომხმარებლების დადგენის თვალსაზრისით; ვადევნებთ თვალყურს, ვინ არის მისი აქტიური მომხმარებელი, თუმცა ახლო მომავალში ჩვენ შუამდგომლობით წარვდგებით სასამართლოს წინაშე, რომ ასეთი ვებგვერდების არსებობა აიკრძალოს. გამოძიება დაწყებული იყო და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ერთგვარად მიზანშეწონილი იყო მისი გარკვეული პერიოდით არსებობა, რათა ჩვენ მეტი საფუძველი და სიმტკიცე გვქონოდა გარკვეული ინფორმაციის დადგენის თვალსაზრისით. უკვე გვაქვს საფუძველი, რომ გარკვეულ პიროვნებებზეც დავიწყოთ დევნა, – განაცხადა იზორიამ. (ინტერპრესნიუსი)

## ვინ არის პარიზის სისხლიანი ღამის დროს გადარჩენილი ერთადერთი თავდამსხმელი, რომელზეც საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა




საფრანგეთის პოლიციამ პარიზის ტერაქტებთან კავშირში მყოფი პირების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა.

„ბიბისის" ინფორმაციით, საფრანგეთმა ძებნა გამოაცხადა ბრიუსელში დაბადებულ 26 წლის სალაჰ აბდესლამიზე. გამოძიების თანახმად, ის ერთ-ერთი ტერორისტის ძმაა, რომელმაც 13 ნოემბერს პარიზში თავი აიფეთქა. ბელგიამ აბდესლამიზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. პოლიცია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ეჭვმიტანილი შეიარაღებული და საზოგადოებისთვის საშიშია. ფრანგი სამართალდამცველები მიიჩნევენ, რომ სალაჰი აბდესლამი, სავარაუდოდ, ერთადერთი გადარჩენილი თავდამსხმელია, რომელმაც მიმალვა შეძლო. სალაჰ აბდესლამის გარდა, გამოძიება შემდეგ პირებს ასახელებს:

ბრიუსელის მკვიდრი მუჰამედ აბდესლამი, რომელიც ბელგიაში დააკავეს, 31 წლის ბრაჰიმ აბდესლამი და 20 წლის ბილალ ჰადფი, რომლებიც თავდასხმების დროს დაიღუპნენ, ასევე, პარიზის მკვიდრი 29 წლის ისმაილ ომარ მოსტეფა, რომელიც ბატაკლანის საკონცერტო დარბაზზე თავდასხმისას დაიღუპა. საფრანგეთის ქალაქ კურკორონის მკვიდრი ომარ მოსტეფა, რომელიც ბოლო წლებში მეჩეთში ხშირად დადიოდა. პარიზის პროკურორის ფრანსუა მოლენის ინფორმაციით, 2004-2006 წლებში მოსტეფამ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა, რის გამოც პოლიცია მისი პიროვნებით დაინტერესდა. გარდა ამისა, ფრანგული სპეცსამსახურები მისი რადიკალური მოსაზრებების შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ. გამოძიება მიიჩნევს, რომ ომარ მოსტეფამ რადიკალური ისლამის მომხრე 2010 წელს გახდა და სავარაუდოდ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სირიაშიც იმყოფებოდა. ფრანგულმა პოლიციამ უკვე დააკავა ომარ მოსტეფას მამა და ძმა და მათ სახლში ჩხრეკა ჩაატარა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იძულებული გავხდით მე და ჩემი პარტნიორი, რომ გვეჩუქებინა ქონება სახელმწიფოსთვის"



აკურის ღვინის ქარხნის მეპატრონე, ბიზნესმენი ნოდარ მოდებაძე, რომლისთვისაც ქონების ჩამორთმევას გამოძიება შს ყოფილ მინისტრს ვანო მერაბიშვილსა და ყოფილ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს ედავება, აცხადებს, რომ თავად და მისი პარტნიორი თეიმურაზ მეგრელიშვილი აიძულეს, ქონება სახელმწიფოსთვის ეჩუქებინათ.

– როგორც ხდებოდა, ჩვეულებრივ მოხდა ჩემი ამბავიც – დამიბარა მაშინდელმა პროკურორმა გივი თუ გიორგი პაპუაშვილმა და მითხრა ასეთი რამე, უნდა ჩაგვაბარო თქვენი ქონებაო, ან უნდა დააბრუნო ფულიო. ვუთხარი, ფულს ვერ დავაბრუნებ, ფული რომ მქონოდა, სესხს კი არ ავიღებდი და კრედიტს კი არ გავხსნიდი-მეთქი. მაშინ, ქონება უნდა დააბრუნოო. იყო იქ ბევრი შეხვედრა, ბოლოს იძულებული გავხდი, დამებრუნებინა. მუქარა, ახლა... მითხრა, პირდაპირ, უნდა დააბრუნოო, ძალიან დიდი უსიამოვნებები შეგემთხვევაო. იძულებული გავხდით მე და ჩემი პარტნიორი, რომ გვეჩუქებინა ქონება სახელმწიფოსთვის, – განაცხადა მოდებაძემ.

ცნობისთვის, საქმე ეხება 2004 წელს მომხდარ ფაქტს. პროკურატურაში აცხადებენ, რომ მერაბიშვილმა და ადეიშვილმა „საზღვაო ბანკის" ლიკვიდაციის პროცესში ბანკის მიერ გაცემული კრედიტების დაბრუნება გადაწყვიტეს. მოდებაძე ერთ-ერთი კრედიტორი იყო, რომელსაც, პარტნიორებთან ერთად, 2 600 000 ლარამდე ოდენობის სესხი ჰქონდა გამოტანილი. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „აუცილებლად დადგება საქართველოში ის დრო, როდესაც ციხეში აღმოჩნდება თინათინ ხიდაშელი"



„პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი მეცხრე დღეა თანაგუნდელებთან ერთად შიმშილობს. ირმა ინაშვილის ინფორმაციით, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ასამდე ადამიანი შიმშილობს. მოშიმშილეები შუალედური არჩევნების გაუქმებას, საარჩევნო გარემოს შეცვლასა და თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების გადადგომას მოითხოვენ. ირმა ინაშვილმა სახალხო დამცველს მიმართა და უმოქმედობაში დაადანაშაულა.

– ეს არჩევნები გაყალბდა, ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ამას არ აღიარებს, მაგრამ პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის არჩევნების გამყალბებელი ხელისუფლება. აუცილებლად დადგება საქართველოში ის დრო, როდესაც ციხეში აღმოჩნდება თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი.

არჩევნების გაყალბება არის სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთი ტიპის დანაშაული ქვეყანაში არავის შერჩება, ის მაინც უნდა გაბედოს სახალხო დამცველმა, რომ მოვიდეს და მოშიმშილეების მდგომარეობა გამოიკითხოს. ასე რამ დაგამონათ და ასე ვინ შეგაშინათ? – განაცხადა ინაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსის" აქტივისტებმა შიმშილობა ოზურგეთშიც დაიწყეს. აქციის მონაწილეები პარტიის ლიდერების შიმშილობას სოლიდარობას უცხადებენ და მათ მოთხოვნებს უერთდებიან. (news.ge)

**ეეჰ, მასეთი განცხადებები დანაშაულის ჩამდენი ჩინოვნიკების ციხეში გაშვების შესახებ იმდენი გვაქვს მოსმენილი, ქალბატონო ირმა, ჩამოთვლა ნამეტანი შორს წაგვიყვანს - საქართველოში ხომ ასეთი „მოდაა": გახდი ჩინოვნიკი? დაპირებები ჰაიდაა, ვიღას ახსოვს?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოში ძლიერი ქარი და წვიმაა მოსალოდნელი — ამინდის პროგნოზი



საქართველოში არამდგრადი ამინდი 19 ნოემბრამდე გაგრძელდება. ამინდის პროგნოზის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, 17 ნოემბერს საქართველოს ზოგიერთ რაიონში ძლიერი ქარია მოსალოდნელი.

17 ნოემბერს საქართველოს უმეტეს რაიონში მოსალოდნელია ნალექი, ზოგან ძლიერი, გაძლიერდება დასავლეთის ქარი, მაღალმთაში შესაძლებელია ქარბუქი. ჰაერის ტემპერატურა იქნება +7, +12 გრადუსი.

18-19 ნოემბერს უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა: დასავლეთ საქართველოში +12, +17 გრადუსი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში +7, +12 გრადუსი იქნება, – ნათქვამია ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვინ არის დამშვიდებული, კაცო, გამწარებული და გადარეულია ხალხი!!!



პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერებს მოუწოდებს, შიმშილობის აქცია შეწყვიტონ. როგორც ძიძიგური აცხადებს, ის ხშირად ყოფილა, შიმშილობის აქციის მონაწილეც და პროტესტის ამ ფორმის წამომწყებიც. თუმცა, იგი მიიჩნევს, რომ შიმშილობის წამოწყება ადვილია, მაგრამ „იქიდან გამოსვლა ურთულესი".

– დამოკიდებულება, რომ შიმშილობის დაწყებით ხელისუფლებამ რაღაცა პოზიტიური ნაბიჯები გადადგას, არასწორია. ეს იმას ნიშნავს, რომ, ვისაც რამის შეცვლა მოუნდება, უნდა იშიმშილოს. ხელისუფლება ამას არ გააკეთებს. მოშიმშილეებზე ისეთი ზემოქმედება უნდა მოვახდინოთ, რომ პროცესი უმტკივნეულად გავაგრძელოთ. საარჩევნო რეფორმის გასატარებლად უკიდურესი ფორმები არ არის საჭირო. ამ პროცესების მონაწილე მეც ვიყავი, რადგან მაშინ, სხვანაირად არ გამოდიოდა, მაგრამ ახლა ასეთი რადიკალიზმი საჭირო აღარ არის. ყველანი ვხედავთ, რომ არჩევნები სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი აღარ არის, როგორც ეს შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში იყო. ყველა უფრო დამშვიდებულია და ცივილიზებული დიალოგით ყველანაირ პოზიციამდე მისვლა შესაძლებელია, მაგრამ არა შიმშილობით და იმით, რასაც „პატრიოტთა ალიანსის" წევრები აკეთებენ, – დასძინა ძიძიგურმა. (ghn.ge)

**რომელ იქიდანაა გამოსვლა ურთულესი, ზვიად ბატონო, თბილი კაბინეტიდან, არა?**

**ისე, კი გვახსოვს თქვენი შიმშილობის აქციებიც - არც მშიერ კუჭზე გაგიკეთებიათ რამე და მაძღარზე ხომ საერთოდ - თავად ხომ ხართ კარგად? ჰოდა, მთავარიც ეგ არის!!!**

# პოროშენკო სააკაშვილის თანამდებობიდან განთავისუფლებას აპირებს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

„რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების სატელეფონო საუბრების გამოქვეყნებამ ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ერთი, რომ თანაპარტიელების ერთი ნაწილი ნელ-ნელა ემიჯნება და მეორეც, უკრაინაშიც აერდაერია საქმე.

სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გამოქვეყნებას წინ უძღოდა „უკრაინულ ვიკილიკსში“ მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას საუბრის ტექსტური ვარიანტის გამოქვეყნება, რომელშიც სააკაშვილი და ბოკერია ღიად ლაპარაკობენ „რუსთავი 2“-ის მეშვეობით ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებაზე, ტელეკომპანიის ოფისში „ბოევიკების“ შეყვანაზე, ბავშვიანი ჟურნალისტის მკვლელობასა და ათას უბედურებაზე. იმ სატელეფონო საუბრებზე მეტად, უკრაინაში სწორედ ამ ტექსტმა შეუქმნა სააკაშვილს პრობლემები.

ჩვენ ერთი წლის წინათ ვწერდით, რომ უკრაინის რადას თავმჯდომარე, ვლადიმერ გროისმანი იმთავითვე დაპირისპირებული იყო სააკაშვილთან, პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს არწმუნებდა, სააკაშვილი არ დაენიშნა საკუთარ მრჩევლად და საერთოდ, არანაირო პოსტი არ მიეცა უკრაინის ხელისუფლებაში. თუმცა, მან ვერაფერი გააწყო და ამერიკელთა ლობირებით, პოროშენკომ საკუთარი მეგობარი ჯერ მრჩევლად დაინიშნა, მერე კი ოდესის გუბერნატორად გაამწესა. მაშინ გროისმანი მარტო ებრძოდა მიშას და ვერ დაამარცხა, ახლა კი, როგორც ჩანს, ჩვენი მაღალის დღეები უკრაინაში დათვლილია, გროისმანს თანამოაზრე გამოუჩნდა და თან საკმაოდ ძალიან წონიანი – გროისმანის მოკავშირე უკრაინის პრემიერ-მინისტრი, არსენი იაცენიუკი გახდა.

„ალიას“ უკრაინის ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო უყვება, რომ ორი დღის წინ გროისმანი და იაცენიუკი პრეზიდენტ პოროშენკოს შეხვდნენ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით. პრეზიდენტს, თურმე, ორივე უმტკიცებდა, რომ სააკაშვილი მძიმე ტვირთად იქცა უკრაინისთვის და მისი მოშორების დრო დადგა. არსენი იაცენიუკს მოულოდნელად განუცხადებია, რომ სააკაშვილისა და ბოკერიას „ვიკილიკსში“ გამოქვეყნებული საუბრის ტექსტი უტყუარია, მან საკუთარი წყაროებით გადაამოწმა და დადასტურდა, რომ მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია სტამბულის აეროპორტის კაფეში შეხვდნენ, მათი საუბარიც იქ შედგა, რაც ფარულად ჩაწერეს. იაცენიუკმა განუცხადა პრეზიდენტს, რომ მას მოასმენინეს ამ ჩანაწერის სრული ვერსია და სავარაუდოდ, ის მალე გამოქვეყნდება რომელიმე უკრაინულ საიტზე. გარდა ამისა, იაცენიუკს უთქვამს, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ კიდევ სხვა ჩანაწერების გამოქვეყნება იგეგმება, რომლებიც ცალსახად დაადასტურებს, რომ საქართველოში ხელისუფლების დამხობას ის სისხლიანი გზით აპირებდა. იაცენიუკსა და გროისმანს უთქვამთ, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ სააკაშვილისადმი წაყენებული სხვა ბრალდებებისგან განსხვავებით, ეს უკვე უმძიმესი ბრალი იქნება და უკრაინისა და მისი ხელისუფლების იმიჯისთვის მძიმე დარტყმა აღმოჩნდება. გროისმანს უთქვამს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც ამ ჩანაწერების გამოქვეყნებისთანავე სააკაშვილს მყისიერად ზურგს აქცევს, უკვე ველარ დავარწმუნებთ, რომ კრიმინალი ექსპრეზიდენტი შეგნებულად არ შევიფარეთ და თან სახელმწიფო პოსტი ვუბოძეთო. გროისმანს პოროშენკოსთვის ისიც უთქვამს, რომ თუ ეს მოხდება, ამერიკაც ხელს დაიბანს, სააკაშვილს გაწირავს და მთელ პასუხისმგებლობას უკრაინის ხელისუფლებას აჰკიდებსო.

მოკლედ, ქვეყნის სამი მთავარი ლიდერი სერიოზული პრობლემის წინაშე მდგარა და როგორც წყარო აცხადებს, გამოსავალი მალევე უპოვიათ. პოროშენკოს გროისმანისთვის უთქვამს, როცა შენ სააკაშვილის შესახებ კომპრომატებს მაწვდიდი, კი მჯეროდა, ვიცოდი, მიშას უკრაინა მხოლოდ პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის სჭირდებოდა და ეს ქვეყანა დაიქცევა თუ არა, საერთოდ არ აინტერესებს, მაგრამ მაშინ ევროპასა და ამერიკას წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი, მიშას სერიოზული ლობისტები ჰყავდა და რაც მთავარია, ჩვენს ხელისუფლებაში არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი შეხედულება მის შესახებ, ახლა კი, როცა ქვეყნის პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ერთად მიმტკიცებთ და თან ფაქტებით, რომ მიშა მძიმე ტვირთად იქცა უკრაინისთვის და ეს ტვირთი კიდევ დამძიმდება, ანგარიში უნდა გაგიწიოთო.

პოროშენკოს თავად უთქვამს, ვიდრე მიშა დიდ საერთაშორისო სკანდალში გაგვხვევს, უნდა მოვაშოროთ ოდესის გუბერნატორის პოსტს, სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობიდანაც გადავაყენებ და ისე კი იყოს უკრაინაში, თუ უნდა, სიკვდილამდე აქ დარჩეს, პოსტის გარეშე, ხელს ვერ შეგვიშლისო.

წყარო აცხადებს, რომ გროისმანი და იაცენიუკი სწორედ იმისთვის იყვნენ მისული პოროშენკოსთან, რომ დაერწმუნებინათ, სააკაშვილი სახელმწიფო პოსტებს მოაშორეო და მათდა გასაკვირად, თავად პოროშენკომ დააყენა ეს საკითხი. წყარო ირწმუნება, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში, მიშას ოდესის გუბერნატორობიდანაც მოხსნიან და პოროშენკოს მრჩევლის პოსტიდანაცო.

წყაროს მტკიცებით, სამეულის ამ კონფიდენციალური შეხვედრის მთავარი დეტალები გროისმანისა და იაცენიუკის ინიციატივით ხმაურდება. ამის მიზანი კი ის არის, რომ, ერთი მხრივ, უკრაინის სახელისუფლებო ბომონდი, მეორე მხრივ, უკრაინის მოსახლეობა დარწმუნდეს, რომ სააკაშვილს ხელისუფლების ყველაზე გავლენიანი სამი პიროვნებიდან სამივე გაემიჯნა და მას ზურგი აღარ აქვს. ცხადია, ეს ოდესის ოლქის მოსახლეობისთვისაც მკვეთრი სიგნალი იქნება, რომელთა ერთ ნაწილსაც მიშა მხსნელი და აღმაშენებელი ჰგონია. სააკაშვილი ხალხის ამ მხარდაჭერას, ჯერჯერობით, პიარით აღწევს, მაგრამ ოდესელები მალე დაინახავენ, რა მონსტრთან აქვთ საქმე, დაინახავენ, რომ სააკაშვილს ოდესის მთელი მოსახლეობა ცალ ფეხზე ჰკიდია, მხოლოდ ფულის საშოვნელად, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდება მათი მხარდაჭერა და არა რეფორმების გასატარებლად, ხალხის მძიმე ყოფის გასაუმჯობესებლად. ოდესელები ენდობიან პოროშენკოს, იაცენიუკსა და გროისმანს და როცა დაინახავენ, რომ მათ სააკაშვილი გარიყეს, ცხადია, ამის მიზეზების ძიებასაც დაიწყებენ და აღმოაჩენენ, რომ მიშა ჩვეულებრივი პოპულისტი და ავანტიურისტი პოლიტიკოსია და მეტი არაფერი. ამ ინფორმაციას კი მათ უკრაინის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი და ასევე, თავისუფალი, მაგრამ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი მედია მიაწვდის. საქართველოშიც ხომ ასე იყო – „ვარდების რევოლუციიდან“ 2 წელიწადში მესიად და დემოკრატიის შუქურად შერაცხული მიშა მხარშეუქცევად დაადგა ავტოკრატიზმის გზას და ის ხალხი, ვინც ხელისუფლებაში მოიყვანა, ციხეებში გამოკეტა, დაატერორა, გააუბედურა და შავი დღე აყარა.

თავდაპირველად არსენ იაცენიუკს სააკაშვილთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა ახლა სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი, ახლა ის მიშას დასანახად ველარ იტანს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სააკაშვილმა იაცენიუკი უკრაინელი ოლიგარქების მფარველობაში ღიად დაადანაშაულა.

„ალიას“ წყარო კი იაცენიუკის სააკაშვილთან დაპირისპირების უფრო სერიოზულ მიზეზს ასახელებს. არსენ იაცენიუკი ებრაელია, ოდესა ებრაული ქალაქია და სააკაშვილი სწორედ ებრაელ ბიზნესმენებს დაეჯახა ოდესაში, ორი მათგანი დაიჭირა, ზოგი ძალიან შეავიწროვა, ზოგს ახლა უპირებს პროკურატურის მიქსევასა და პრობლემების შექმნას...

მოგეხსნებათ, ებრაული ლობის უდიდესი გავლენა მთელ მსოფლიოშია და მათ შორის, ამერიკაშიც. მიშასგან შეწუხებულ ებრაელებს, სხვადასხვა ქვეყნებში თავიანთი გავლენიანი თანამემამულეებისთვის შეუჩივლიათ, – ეს გიჟი დროზე მოგვაშორეთ აქედან, თორემ ცოცხალი ვერ გაგვასწრებს და არ გვინდა, ოდესაში პოლიტიკური მკვლელობა მოხდესო.

ეს ინფორმაცია როგორც სიგნალი, ისე მიიღეს მსოფლიოს ყველა გავლენიანი სახელმწიფოს ხელისუფლებაში, ასევე, სოლიდურ საერთაშორისო პოლიტიკური და ფინანსური ინსტიტუტების სათავეებში მყოფმა ებრაელებმა, შეიძლება ითქვას, იმ ხალხმა, რომლებიც დღეს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტენ. შესაბამისად, სააკაშვილის მოსაშორებლად დასტური ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლებისგან და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციიდან წამოვიდა. ამ საქმის მოგვარება და პოროშენკოს დარწმუნება, რომ მიშა ოდესიდან მოეცილებინა, ასევე, ებრაელებს, არსენი იაცენიუკსა და ვლადიმერ გროისმანს დაეკისრათ. გროისმანი ხომ უამისოდაც სააკაშვილის მტერი იყო და იაცენიუკი მსოფლიოში რჩეული ებრაელების ამ დავალებას ვერ გაექცეოდა, რადგან სწორედ იმ გავლენიანმა ებრაელებმა აქციეს ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ფიგურად და დღეს რომ უკრაინის პრემიერია, ამასაც მათ უნდა უმადლოდეს.

აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ თავად პოროშენკო ნახევრად ებრაელია, მამამისი გვარად ვალცმანი იყო და სავარაუდოდ, იაცენიუკისა და გროისმანის პარალელურად, მათთან შეუთანხმებლად, წონიანი ებრაელები პოროშენკოზეც მუშაობდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ დაასწრო პოროშენკომ ორივეს და თავად განაცხადა, – სააკაშვილმა უკრაინის სამთავრობო პოსტები უნდა დატოვოსო.

მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება კითხვები: რატომ არ მოხსნა პოროშენკომ სააკაშვილი მისთვის წაყენებული უმძიმესი ბრალდებების გამო, ასევე, მაშინ, როცა უკრაინული მედიით გავრცელდა ე.წ. სამეგრელოს კასრების ჩანაწერები, რომლებშიც ასახულია ჩვენების გამოძალვის მიზნით, როგორ აუპატიურებენ მამაკაცებს? წამება (გაუპატიურება) – ეს ხომ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია და ეს ხდებოდა პოლიციის განყოფილებებში იმ დროს, როცა სააკაშვილი იყო საქართველოს პრეზიდენტი?

ფაქტია, ეს არ იყო პოროშენკოსთვის საკმარისი, რომ არაერთი დანაშაულის მოთავე გვერდით არ ჰყოლოდა და მოეშორებინა. შესაძლოა, ამ კადრებმაც გარკვეული გავლენა იქონია პოროშენკოს გადაწყვეტილებაზე, მართალია, ამის შესახებ წყარო არაფერს აცხადებს, მაგრამ ლოგიკურად ასე უნდა იყოს, მით უფრო, როცა პოროშენკოც, იაცენიუკიც და გროისმანიც დემოკრატობაზე დებენ თავს და ნებისმიერი ამგვარი სახის ძალადობას ემიჯნებიან.

ძალიან საეჭვოა, რომელიმე მათგანი ამ კადრების ნახვის შემდეგ აღფრთოვანებულიყო. არა მხოლოდ მათი, უკრაინის ხელისუფლების ნებისმიერი გავლენიანი ლიდერის სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულებას ეს ვიდეოები რადიკალურად უარყოფითად შეცვლიდა. თუმცა, ამ დანაშაულს სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტის რანგში სჩადიოდა, ხოლო საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას, ოდესის გუბერნატორისა და უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის რანგში აპირებდა, რაც, ბუნებრივია, გაცილებით მეტ დარტყმას მიაყენებდა უკრაინას, პოროშენკოსა და ყველა იმ ადამიანს უკრაინის ხელისუფლებაში, ვინც გარკვეულწილად პასუხისმგებელი იყო სააკაშვილის უკრაინის ხელისუფლებაში დასაქმებაზე და მას მფარველობაზე. არა, პოროშენკომ შესანიშნავად იცოდა, რომ დამნაშავეს იფარავდა, მაგრამ ევროპა-ამერიკის გავლენიანი პოლიტიკოსების ზეწოლით თუ თხოვნით დანიშნა მაღალ პოსტზე. გარდა ამისა, სააკაშვილმა გარკვეული როლი უკრაინის რევოლუციასა და ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლების დამხობაშიც შეასრულა, შემდეგ აქტიურად მუშაობდა უკრაინის მოქალაქე ქართველებში პოროშენკოს საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში და საკმაოდ ბევრი ხმაც მოუგროვა. პოროშენკო, ამ ყველაფრის გამო, ვალში იყო სააკაშვილთან და როცა მას დასავლეთიც მხარს უჭერდა, ცხადია, დაასაქმებდა უკრაინის ხელისუფლებაში.

მოკლედ, სააკაშვილს პოლიტიკური რეაბილიტაციის შანსი მისცეს, მაგრამ მან ეს ვერ გამოიყენა. შესაბამისად, სააკაშვილის წინაშე პოროშენკოც ვალმოხდილია, დასავლეთიც, მისი ალარაფერი მართებთ და სრულიად ლოგიკურია, ისე მოაშორონ უკრაინის სახელისუფლებო პოსტებს, მიშას გამომქომაგებელი არავინ დარჩეს.

თუ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია დადასტურდა, მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორობიდანაც მოხსნეს და პრეზიდენტის მრჩევლის პოსტიც დაატოვებინეს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ის ევროპასა და ამერიკას აღარაფერში სჭირდება, ორივემ ერთდროულად გაწირა და პოლიტიკურ გვამად გადაიქცევა, რომლისგანაც სახეიროს არავინ არაფერს ელის.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, პოლიტიკაში პროცესები მყისიერად იცვლება. თუ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მართალია, სააკაშვილი მალე უნდა დაიფრინონ უკრაინიდან. ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, დასავლეთი და რუსეთი სერიოზულ თანამშრომლობას გეგმავენ, არც ის არის გამორიცხული, ერთობლივი კოალიციაც შექმნან „ისლამურ სახელმწიფოსთან“ და ზოგადად, საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად. ასეთ დროს კი, დასავლეთს უკრაინის ხელისუფლებაში რუსეთის ხელისუფლების გამაღიზიანებელი ფაქტორი – სააკაშვილი ნამდვილად არ დასჭირდება.




> **...მიშასგან შეწუხებულ ებრაელებს სხვადასხვა ქვეყნებში თავიანთი გავლენიანი თანამემამულეებისთვის შეუჩივლიათ, — ეს გიჟი დროზე მოგვაშორეთ აქედან, თორემ ცოცხალი ვერ გაგვასწრებსო...**

# რას ამბობს პრეზიდენტის ათონელზე გადასვლაზე ავლაბრის რეზიდენციის პროექტის ავტორი?

საიტი „liberali.ge“ აქვეყნებს ინტერვიუს თბილისის ყოფილ მთავარ არქიტექტორთან და ავლაბრის რეზიდენციის პროექტის ავტორთან ირაკლი როსტომაშვილთან:

„ეს უნდა დასრულდეს და დასრულდება, იმის მიუხედავად სურს თუ არ სურს მას ეს“, – რამდენიმე დღის წინ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ათონელის რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით პრეზიდენტ მარგველაშვილის უარი „ცინიზმის ძალიან მაღალ დონედ“ შეაფასა.

**ამ თემის შესახებ ეს მისი პირველი განცხადება არ იყო და არც ივანიშვილია პირველი, ვინც ამ თემაზე საუბრობს. არის თუ არა გიორგი მარგველაშვილის ავლაბარში დარჩენა პრეზიდენტის გადასაწყვეტი; რა აუცილებელ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს ათონელის რეზიდენცია; და რა ელის თბილისის ქუჩებს, თუ პრეზიდენტი იქ გადაინაცვლებს?**



– მე მაშინ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ვიყავი და ჩემს მოვალეობაში იმ დავალებების შედგენა შედიოდა, რა მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა პრეზიდენტის რეზიდენციას. ეს შეკითხვები მაშინ უშიშროების სამსახურს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სამსახურს გავუგზავნე. საპროექტო დავალებაში ყველა მიღებული პასუხი აისახა.

— **რა მოთხოვნები იყო გასათვალისწინებელი პრეზიდენტის უსაფრთხოების დაცვის კუთხით? შესაძლებელი იქნება თუ არა ათონელის რეზიდენციაში მათი შესრულება?**

– საქმე მარტო იმას არ ეხება, რამდენად დაცულია ჩვენი პრეზიდენტი. შეიძლება, ჩვენი პრეზიდენტი ათონელის ქუჩაზე გადავიდეს და იქ მას არავინ ერჩოდეს, მაგრამ, მაგალითად, ისრაელის პრეზიდენტი რომ ჩამოვა, იქ არ მივა. თავისივე დაცვა არ მიუშვებს მას იქ. ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. თუმცა თუ ვამბობთ, რომ პრეზიდენტთან არავინ უნდა მივიდეს, მაშინ, კი ბატონო. მაგალითად, ქველიძის (საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი) მოთხოვნის თანახმად, „ბრაუნინგის“ მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს 90-გრადუსიანი გასროლის შემთხვევაში რეზიდენციის ფანჯრის შუშა ვერ უნდა გაეხვრიტა. უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი მოთხოვნის მიხედვით, ფანჯრები ისე უნდა ჩასმულიყო, რომ შიგნით აფეთქების შემთხვევაში, ისინი გარეთ უნდა გამოვარდნილიყო. მაშინ გავიგე, რომ როცა შენობის შიგნითაა აფეთქება, მხოლოდ ნამსხვრევები არ იწვევს მსხვერპლს. 1000-ჯერ იზრდება წნევა, ფილტვებს ხეთქავს და ეს ხდება მსხვერპლის მიზეზი. ამიტომ ფანჯრების ჩარჩოები ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ აფეთქების დროს გარეთ გამოვარდნილიყო და წნევა განემუხტა. ასეთი ტყვიაგამძლე შუშები აფეთქების დროსაც არ იმსხვრევა, შენობაში კი ყველა კვდება.

– თქვენ ახსენეთ ისრაელის პრეზიდენტი, რომ ათონელის რეზიდენციაში მას საკუთარი დაცვა არ მიუშვებს. უცხოური დელეგაციების მიღებისას პროტოკოლით გათვალისწინებული რა კრიტერიუმები არსებობს, რასაც ათონელის ადმინისტრაცია ვერ დააკმაყოფილებს?

– რამდენ კაცზე უნდა იყოს ლანჩის დარბაზი, ბრიფინგების დარბაზი. სხვა ქვეყნის პრეზიდენტი რომ მოდის, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი შემაღლებულ ადგილას უნდა დახვდეს. ლიმუზინიდან გადმოსულ სხვა ქვეყნის პრეზიდენტს უნდა დახვდეს დაგებული ხალიჩა. საქართველოს პრეზიდენტი ორი საფეხურით ქვევით უნდა ჩავიდეს და შეეგებოს. პარლამენტს ეს ინფრასტრუქტურა არ უვარგა, რადგან იქ დამხვედრს პირიქით, ზევით უწევს ასვლა. ეს მოთხოვნები მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მივიღეთ, დოკუმენტს ხელს ზურაბიშვილი აწერდა. დარწმუნებული ვარ, რომ ათონელის რეზიდენციაში რამდენიმე ქვეყნის პრეზიდენტს საკუთარი დაცვა არ მიუშვებს. გარშემო მოსახლეობა ცხოვრობს, დაბადების დღეებზე, პანაშვიდებზე ხალხი გროვდება. წარმოგიდგენიათ, რომ ყველა ეს ადამიანი, ვინც გარშემო იმოძრავებს, უნდა შეამოწმონ. მთელ ათონელის ქუჩასა და მიმდებარე ქუჩებზე ტოტალური კონტროლი უნდა იყოს და მანქანა არ უნდა გაჩერდეს.

მაგალითად, როცა იქ ამერიკის საელჩო მდებარეობდა (მე მაშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელი ვიყავი) უსაფრთხოების მიზნით კედელი ააშენეს. სად ქვეყნის პრეზიდენტი და სად ელჩი. იქ ვერ მიიყვანენ ვერც ისრაელის პრეზიდენტს, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს. მათ ასეთი მოთხოვნები აქვთ.

— **ბატონო ირაკლი, თქვენ ახსენეთ ადამიანების ტოტალური შემოწმება, რომ მანქანებს ათონელზე ვეღარ გააჩერებენ.**

– კი ბატონო. უსაფრთხოების გარეშეც არსებობს პარკირებების მოთხოვნა. ხომ იგივე იქნება ათონელზე? შესაბამისად, სულ დაიკეტება და ყოფილი კოლმეურნეობის მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვერავინ მივა. თუ მოთხოვნები არ შეიცვალა, ასეა. მოსახლეობისთვის უნდა იყოს განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა. რადიუსის მიხედვით, ყველა მოსახლე დაკვირვების ქვეშ ექცევა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არ ეხება მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტის მოთხოვნას. ეს ეხება იმ პრეზიდენტების მოთხოვნებს, რომლებიც აქ ჩამოდიან.

— **განხილვის საგანია ისიც, რომ ავლაბარში პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა ზედმეტად მასშტაბურია პრეზიდენტისთვის, ედავებიან შენობის შესანახი ხარჯების გამოც.**

– როცა საპროექტო დოკუმენტაცია მზადდებოდა, ავლაბრის რეზიდენციას პრეზიდენტის სასახლე არ ერქვა. მაშინ ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის აშენება იგეგმებოდა. მერე მე წამოვედი. წარმოიდგინეთ, სტუმრად ჩამოდიან ორგანიზაციები, რომელთა საზეიმო დახვედრასაც სჭირდება საპატიო ყარაული. ამისთვის აუცილებელი მოთხოვნა, ე.წ. პლაცი, რომელზეც ყარაული დგება, აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროსაც და პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც. გამოდის, რომ, თუ ერთად იქნებოდნენ, ერთი პლაცი ეყოფოდათ.

იგივე შეიძლება ითქვას ლანჩის და ჟურნალისტებთან შესახვედრი ბრიფინგების დარბაზებზეც. იმის ნაცვლად, რომ ის ცალ-ცალკე ჰქონოდათ, ყველას ერთი აკმაყოფილებდა. მე თბილისის მთავარი არქიტექტორი ვიყავი და ვიცი, თბილისის ქუჩების განტვირთვისთვის რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყებების ერთ შენობაში გაერთიანება. თბილისის ტრანსპორტის განტვირთვა მარტო ესტაკადებით ვერ მოხდება. საცობები ძირითადად არის ცენტრში და ერთ-ერთი გამოსავალი ამის დივერსიფიცირება, ანუ გადატანაა. ავლაბარში რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურის გადატანა საგრძნობლად გაათავისუფლებდა ცენტრს, თუნდაც იმით, რომ დელეგაციები აეროპორტიდან ბარათაშვილის ხიდამდე არ ჩავიდოდნენ. ავლაბრის რეზიდენცია ძალიან მოკლე მანძილზე იყო. მარტო პრეზიდენტისთვის რეზიდენცია შეიძლება დიდი ფართია, მაგრამ გადაიტანონ საგარეო საქმეთა სამინისტრო და გაათავისუფლონ ჩიტაძის ქუჩა, ყოველთვის საცობი რომაა. სხვებიც გაასხვისონ ეკონომიკის სამინისტროს შენობასავით და ავლაბრის რეზიდენციაში შეიყვანონ. თუ მაინცდამაინც არ სურთ პრეზიდენტთან ლაპარაკი, ნუ დაელაპარაკებიან. ხომ არსებობენ ასეთი მეზობლებიც.

— **რა მიზეზით თქვით უარი ავლაბრის რეზიდენციის ავტორობაზე?**

– უარი იმიტომ ვთქვი, რომ საბოლოოდ ისე არ გაკეთდა, როგორც მე ვაპირებდი. გუმბათი დაადგეს, დააშენეს რაღაცები. ახლა ეგ შენობა, სიმართლე გითხრათ, არ მომწონს. განსაკუთრებით არ მომწონს, მიშა სააკაშვილის გემოვნებით გარშემო მიშენებული რაღაცები. იმ ფერდობს მასშტაბი აბსოლუტურად დაუკარგეს. მანდ ხომ იყო ძველი თბილისური აივნებიანი სახლები. მიშას ჰქონდა ახირება, გადახრილი შენობები მოსწონდა. რეზიდენციას მესტიის აეროპორტისა და ჩაქვის საბაჟოს მსგავსი რაღაც მიაშენეს, რომელიც კატასტროფაა. ადგილი კი ქვეყნის პირველი პირისთვის სწორად არის შერჩეული. თავის ქება გამომდის, მაგრამ საუბარია ადგილზე, სადაც საქართველოს დროშა ფრიალებს. როცა ადგილს ვირჩევდით, ერთ-ერთი ვარიანტი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობა, რომელზეც მე უარი ვთქვი, რადგან ეს, ჩემი აზრით, ცუდი ნაბიჯი იქნებოდა. კიდევ ერთი ვარიანტი იყო მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია, რომელიც იყო ძალიან კარგი, გაშლილი სივრცე, მაგრამ ევაკუაციის გეგმის თვალსაზრისით ჰქონდა მინუსებიც.

ბოლოს სააკაშვილს 1836 წელს აშენებული ეს „გაი“-ს შენობა შევთავაზე, რომელიც ტიპური ყაზარმა იყო. 80-იანი წლების დასაწყისში გაუკეთდა რეკონსტრუქცია და მიაშენეს რკინის კოლონები. მაშინ მიშა ამბობდა, პირდაპირ გავარემონტოთო. 100 000 ჯდებოდა, მაგრამ შენობას საძირკველი არ ჰქონდა, პირდაპირ ყორეზე იყო აშენებული და ამიტომ დავანგრიეთ. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ რეზიდენციისთვის სწორი ადგილია შერჩეული. (news.ge)



## დემურ გიორხელიძე: რა ეშველება მერე ამდენ მუქთახორა „ორიენტირებულს“, ფასეულობები სად ეძიოს, რომ არ იცის?




ექსპერტი დემურ გიორხელიძე საქართველოში არსებულ მდგომარეობას ეხმიანება.

„გონიერი ერი, პროგრესსა და განვითარებაზე ორიენტირებული ერი ვერაფერს უკეთესს ვერ მოიფიქრებს: შეინარჩუნო ქრისტიანული და ტრადიციული ფასეულობები, ააგო ძლიერი, სამართალზე დაფუძნებული სახელმწიფო, წაახალისო პატრიოტიზმი (ანუ ბუნებრივ პირობებში სიყვარული და პასუხისმგებლობა იმ ქვეყნისადმი, სადაც ადამიანი დაიბადა), სახელმწიფო, რომელიც ეფექტურად ასრულებს თავის საბაზისო ფუნქციებს, ლეგალურ სფეროში უზრუნველყო ადამიანის მაღალი ხარისხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მკაცრად გამიჯნო ფუნქციები სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის, მისცე სტიმული დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი მოღვაწეობისთვის.

სულ ესააა!

ახლა ვფიქრობ, რა ეშველება მერე ამდენ მუქთახორა „ორიენტირებულს“, ფასეულობები სად ეძიოს, რომ არ იცის, რა ეშველება ამდენ... საზოგადოების „ნაღებს“ – უკვე მარაზმამდე მისულ ე.წ. ცნობილ „ენჯეოებს“... ხომ დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულნი?!

რაზე გააკეთებენ მაყუთს?! სხვა გზა არ არის, უნდა დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულები...“ – წერს გიორხელიძე „ფეისბუკზე“. (რეპორტიორი)

## 11 წლის შემდეგ ტელეკომპანია „იბერია“ ტელესივრცეს დაუბრუნდა

16 ნოემბერს 16 საათზე ტელეკომპანია „იბერია“ 11 წლის შემდეგ ტელესივრცეს დაუბრუნდა.

ცნობილია, რომ ტელევიზიის ეთერში სხვადასხვა თემატიკის, მათ შორის პოლიტიკური და გასართობი ფორმატის გადაცემები გავა:

ყოველ საღამოს 20 საათზე დღის პრიორიტეტების მიმოხილვა გადაცემა „პრიორიტეტში“ მოხდება, რომლის წამყვანიც მაკა რაზმაძე იქნება. ეკონომიკურ საკითხებს მიმოიხილავს გადაცემა „ბიზნესკოდი“.

ასევე, ტელევიზიის ეთერში გავა გადაცემა „ავტომანი“, „დე ფაქტო“, „სინემანი“, „ბენეფისი“, „ეკვალაიზერი“, „რეციპე“, „ვინიპარკი“. (ნიუპოსტი)



## ანომალიებით დაბადებული ჩვილი მშობლებმა „იაშვილის“ კლინიკაში დატოვეს



2 თვის ბავშვი, რომელიც მრავლობითი ანომალიით დაიბადა, მშობლებმა იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში დატოვეს, – ამის შესახებ საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა ივანე ჩხაიძემ განაცხადა.

მისი თქმით, გოგონას მშობლები საქართველოს მოქალაქეები, ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან.

ჩხაიძის ინფორმაციით, ჩვილი საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაშია მოთავსებული.

„ჩვენი საავადმყოფოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი სოცმუშაკს დაუკავშირდა. მშობლებმა ახსნა-განმარტება უკვე დაწერეს. ვინაიდან ჩვილი მრავლობითი ანომალიით დაიბადა, მშობლები ბავშვზე უარს აცხადებენ, გოგონას შემდგომ ჩვილ ბავშვთა სახლში გადაიყვანენ და მასზე მზრუნველობას სახელმწიფო აიღებს“, - განაცხადა ჩხაიძემ. (kvira.ge)

## გერმანიაში პარიზის ტერაქტში ეჭვმიტანილი დააკავეს




გერმანიაში, ჩრდილოეთ რეინვესტფალიაში ალჟირის მოქალაქე დააკავეს, რომელიც დაკავშირებულია პარიზში განხორციელებულ ტერაქტებთან. ამის შესახებ, განცხადება გერმანული სააგენტოებისთვის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა გააკეთა. 39 წლის ალჟირელი დევნილთა დროებით საცხოვრებელში ცხოვრობს. პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებით, მან თავის მეზობლებს სირიიდან რამდენიმე დღის წინ განუცხადა, რომ პარიზში საშინელება და კოშმარი განხორცილდება. მან სირიელებს უამბო მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ. (პირველი რადიო)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**ვის ურეკავენ და რით იმუქრებიან „ნაციონალები"? რას საყვედურობს ხელისუფლებას და ამერიკის ახალ ელჩს?**

**„ალიას" მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრა:**

– იმ მიზეზით, რაც მსოფლიოში ხდება, თუ ღრმად ჩავიხედავთ ჩვენს გულებში, მივხვდებით, რომ ჩვენ, ყველამ, ერთხმად შევუწყვეთ ხელი ამ ყველაფერს. ჩვენი უნიათობით, ერთმანეთის გვერდზე არდგომით და ერთმაინტერესებს, იცით? რუსეთი რომ ბომბებს გვიშენდა 2008, ვის სახეზე გინახავთ ერთი ჩვენი დროშა წათხაპნილი?! მაგრამ ჩვენ ეს გავაკეთეთ. რატომ, რა შედეგის ფასად? იმას კი არ ვამბობ, რომ ავტომატურად რამე შედეგი უნდა დამდგარიყო, საგლოვი უნდა ვიგლოვოთ, მაგრამ, როცა შენი ტკივილი არ მიაქვს ადამიანს გულთან, შენი ჭირი ღობის ჩხირია, შენ რა გრჯის? ფრანგი იუმორისტი გვითვლის – არ გვინდა, რომ გლოვობთ, ჩვენ სიმღერა და იუმორი გვიყვარს და მოდით და იმღერეთ და იხუმრეთო.

ში, რაზეა იქ საუბარი? რომელ სამოქმედო გეგმაზე?! ასე ქვეყანა ვერ გადარჩება, გამორიცხულია. რატომ გუობს ამა ქართველი ხალხი, არ მესმის! ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ თუ არ დავდექით ჩვენს სიმაღლეზე, ჩვენ არ მოვითხოვეთ ჩვენივე ხელისუფლებისგან, მანამდე არაფერი გვეშველება. ჩემი ხალხის გამკვირვებია – რატომ ვუწვებით სატანას?

საშინელ ვითარებაში ვართ. სახარებაშია – ბოლო ჟამს მსოფლიოში შეიქმნა ქაოსი და მსოფლიოს მართვას ჩააბარებენ ერთს, აი, ის ერთი იქნება ანტიქრისტე. ბოლო მენტის წევრებისა. შესაბამისად, ამ ქვეყანაში ვერ აღდგა სამართლიანობა და ვერც აღდგება. ის მყრალი გვამები, რომლებიც ქვეყანას მართავდნენ ამ რამდენიმე წლის წინათ, დღესაც თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგანან და ისევ აშინებენ და ატერორებენ მოსახლეობას. დღე არ გავა, არ დამირეკონ და არ მითხრან, – „ნაციონალებმა" დამირეკეს, მეუბნებიან, – იცოდეთ, დედას გიტირებთ, თუ ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებთ და ისაუბრებთო. პოლიციაში გააცხადებ თუ რა, იქაც ისინი დაგხვდებიან.

ხელისუფლებაში ამ თავისებურად გვწვრთნის. დაკვეთას დაკვეთაზე იძლევა და აქ წარმატებით ასრულებენ შემსრულებლები. ახლა პარლამენტი განიხილავს დეპუტატ გუგული მაღრაძის საკანონმდებლო ინიციატივას. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" – ასე ჰქვია ინიციატივას. კანონის მიღების მიზანი ოჯახში ძალადობის გასატარებელ ღონისძიებებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართვაა. ეს არის ამერიკული პროექტი. ყველას ეძლევა უფლება, ოჯახის საქმესა და პროცესებს ვუყურებ და მოკლედ შევაფასებ – ეს არის საზიზღრობა! მეტს ვერაფერს ვარქმევ. მარაზმია ეს, რაც ხდება. ქაოსშიც არ ვართ, საშინელ მონსტრებად გადავიქეცით და ერთმანეთსა და ქვეყანას ვჭამთ. პარალელურად, ტაშს ვუკრავთ ჩვენზე უფრო დიდ მჭამელებს, რომლებიც ხელისუფლებაში არიან ჩაბუდებული. ამ მთავრობაზე მესმის ხოლმე, რომ წინა მთავრობაზე უარესები გახდნენო. ნუ იტყვით რა, ხალხნო, ამას. გახდნენ, ნიშნავს, რომ არ იყვნენ ასეთები და მთავრობაში გარდაიქმნენ. არ არის ასე – ადამიანს ად-

# მამა ელიზბარი: „ხელისუფლებაში ამ „ქართულ ოცნებას" რომ ვუყურებ, არაა ეს ის ქვეყანა, რაზეც ჩვენ ვოცნებობდით"





**„რაზეა საუბარი, როცა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი საკუთარ შვილებს არ ზრდის პატრიოტებად და ჩემსა და თქვენს შვილებს ომში წასვლას დაავალებს, რომ სისხლი დაღვაროს. ზის და უსაქმურობისგან ბიძაშვილის ხმებს ითვლის — ძალიან გთხოვთ, რამდენჯერაც ვიტყვი, იმდენჯერ დაწერეთ ეს. ამას დიდხანს ვერ ვუყურებთ — ჩვენ გვაქვს გარკვეული გეგმა, რომელსაც მოკლე დროში ავამოქმედებთ და დეტალების თაობაზე, მკითხველი თქვენი გაზეთის მეშვეობით გაიგებს"**

მანეთის გაუტანლობით. სოციალურ ქსელში ფოტო გავრცელდა. „რუსთავი 2"-ის ყოფილი ჟურნალისტი, მუსლიმანური რელიგიის მატარებელი ქართველი ამბობს, – საპატრიარქო გვერდზე გაიწიოს, თორემ სანანებელს გავუხდითო. ეს იცით, რატომ ხდება? იმიტომ, რომ ჯეროვანი პასუხი ვერ მოისმინეს ჩვენგან, ქართველებისგან, ვერც ერთ მუქარაზე. ჰოდა, ამიტომაცაა, რომ შინაურებიც მტრად გაგვიხდენ და გვემუქრებიან. სოციალურ ქსელებში ვაკვირდ-ები, ხალხის უმეტესობას თავის ფოტოზე ფონად აქვს საფრანგეთის დროშა. რა

– თუმცა, ჩვენ 2008 წელს სარკოზი გვახსოვს რუსთაველის გამზირზე...

– ბატონო?! სარკოზი, არა ჩვენთან, არამედ კონკრეტულ ბანკთან იდგა, რომ თავისი კუთვნილი თანხა მიეღო. შესაბამისად, მსოფლიომ იცის, რომ მას პრობლემები აქვს კანონთან და სხვათა შორის, ნიკოლას დაჭერა, სააკაშვილის მიყოლებას გამოიწვევს...

ქვეყანას, რომელსაც თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელი ჰყავს, მომავალი არ უწერია. მსგავსი ანტიპატრიოტი რომ გეყოლება ქვეყანას თავდაცვის მინისტრის რანგნიშანთან ვართ მისული. ყველა სხვის ჯიბეში ყოფს ხელს, ხომ ხედავთ. მიშა კიევშია, პუტინს, ალბათ, ამერიკის პრეზიდენტად აკურთხებენ და ა.შ.

ნახეთ, ზოგადად, როგორი ფასადურია ყველაფერი. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი ქონების უკანონოდ ჩამორთმევისთვის პასუხისგებაში მიეცნენ. ცალკე კიდევ, ადამიანს არჩევნები გაუყალბეს. ვერ დამისახელებთ ადამიანს, რომელიც დღეს კანონით დაცულია, გარდა ისევ პარლა„ქართულ ოცნებას" რომ ვუყურებ, სინანულით ვამბობ, რომ მე მსგავსი ოცნება არ მქონია, არაა ეს ის ქვეყანა, რაზეც ჩვენ ვოცნებობდით.

დასანანია, რომ ნაგავი დარჩა ნაგავად და ადეიშვილ-მერაბიშვილის პასუხისგებაში მიცემა არაფერს უცვლის ქართველ ხალხს. იმდენი ვერ მოახერხეს, რომ დავით კეზერაშვილისთვის მიეხედათ, მალე მის ანგარიშებს ყადაღას მოხსნიან და ქართველი ხალხის ჯიბიდან ამოღებულ თანხას, ამავე ქვეყნის გასაპარტახებლად გამოიყენებენ.

იქით კიდევ დასავლეთი განწყობაში ჩაერიოს.

ცალკე ამერიკის ელჩი გამოდის და გვმოძღვრავს ყველა კუთხიდან. სამწუხაროდ, ჩვენ შევიჩვიეთ უწიგნური და უნიჭო ადამიანები ჭკუის მასწავლებლებად. წინა ელჩი ხომ იყო ბედოვლათი – თითქოს, ჩვენ არ ვიცით და მისი არჩეული სააკაშვილი სჯობს ყველას. ახლა ეს ყმაწვილი მოგვივლინეს ჭკუის მასწავლებლად – ტენდენციაა ასეთი, როგორც ყველა ახალი მთავრობაა წინაზე უარესი, ასევეა ყველა ახალი ელჩი წინაზე უარესი.

მიმდინარე პოლიტიკურ ამიანური თვისებები ან გაქვს, ან არ გაქვს. რაზეა საუბარი, როცა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი საკუთარ შვილებს არ ზრდის პატრიოტებად და ჩემსა და თქვენს შვილებს ომში წასვლას დაავალებს, რომ სისხლი დაღვაროს. ზის და უსაქმურობისგან ბიძაშვილის ხმებს ითვლის – ძალიან გთხოვთ, რამდენჯერაც ვიტყვი, იმდენჯერ დაწერეთ ეს. ამას დიდხანს ვერ ვუყურებთ – ჩვენ გვაქვს გარკვეული გეგმა, რომელსაც მოკლე დროში ავამოქმედებთ და დეტალების თაობაზე, მკითხველი თქვენი გაზეთის მეშვეობით გაიგებს.




1. მულტ-ფილმი „მონსტ-რების ...“
2. კოლექ-ტიური მეურნე-ობის ფორმა
3. მალაიზიის დედაქა-ლაქი
4. ქალაქი ქვემო ქართლში
5. ეგზო-ტიკური ყვავილი
6. მსახიობი ... კახიანი
7. ... და ქანთარია მათ რაიხსტაგზე აღმართეს დროშა
8. ჩან-თოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
9. მხ/ფ „... ნაწვით შეყვა-რება“
10. რუსი ილუზიო-ნისტი
11. მომ-ღერალი ... რიდი
12. „სამგრო-შიანი ...“
13. მეფის სასახლე ესპანეთში
14. ... ნასრედინი
15. ქირურ-გიული ჩარევა
16. ჯიქანი
17. ქალაქი რუსეთში
18. ფრანგ მეფეთა დინასტია
19. რუს მეფეთა საგვა-რეულო
20. ტიბეტური ხარი
21. პირის სასჯელის-გან გათავი-სუფლება ან შემსუ-ბუქება
22. ყურძნის კრეფის პერიოდი
23. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
24. ... კარდა-შიანი
25. პეტერ-ბურგის არქიტექ-ტორი
26. ღრმული წყნარ ოკეანეში
27. „... მილიციის თანამშ-რომელი“
28. შოტ-ლანდიური გვარის ნაწილაკი
29. მითი ოქროს საწმისზე
30. ბილი-არდის ჯოხი
31. იპოლიტე ხვიჩია ფილმში
32. ჭავ-ჭავაძე. „... ქვრივი“
33. შვეი-ცარიის დედაქა-ლაქი
34. თავადზე დაბალი წოდება
35. ანიკოს პირველი ქმარი
36. გიგან-ტური ტალღა
37. მომ-ღერალი ... ბადურაშ-ვილი
38. მდინარე კახეთში
39. ქალაქი ყირიმზე
40. საჭმელად ვარგისი სოკო
41. „ბითლზი“ რინგო ...
42. მდინარე ციმბირში
43. ბრიტა-ნელი მომღერალი
44. დახურული ავტო-მობილი
45. მსახიობი ჯულიეტა ...
46. მსახიობი ... მინელი
47. რე-ჟისორი ... რიჩი
48. ბონ-დიანადან: „დოქტორი ...“
49. რე-ჟისორი სტივენ ...
50. ჰომე-როსის პოემა
51. „... დე ბერჟე-რაკი“
52. ესპანეთის პროვინ-ცია
53. სანუკვარი საჭმელი
54. ავსტრიის დედაქა-ლაქი
55. კუდიანი ამფიბია
56. მხატვარი სანდრო ...
57. წერილო-ბითი მიმართვა ცნობილი პიროვ-ნების იუბი-ლეზე
58. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
59. სა-ჰაერო ბურთის გამომგ. ძმები
60. შინაური მტაცებ. ცხოველი
61. გიგანტ. გორილა ფილმში
62. მანეთის მესხედი
63. მსახიობი ... კონერი
64. ცხენის კუდის ბალანი
65. დასა-რტყამი საკრავი
66. მწერალი ...-შჩედრინი
67. ნი-ანგი ... და ჩე-ბურაშკა
68. „მამლუქი“ ... და გოჩა
69. ინდიე-ლების ნაჯახი
70. წარწერა საფლავის ქვაზე
71. დაბა ქობუ-ლეთის რაიონში
72. ბრონე-ულის კანი
73. რეპტი-ლიის სახეობა
74. ნაბოკოვის რომანი
75. დიდი საჯარისო შენაერთი
76. ეკ-ვადორის დედაქა-ლაქი
77. ბოსტ-ნეული
78. ბიჭუნა. იმოგზა-ურა ბატებთან
79. ავტო-მობილის სამართავი დეტალი
80. „დათა თუთაშხია“ მუშნი ...
81. პიპინიას შვილი-შვილი
82. ბედი
83. ქმრის და
84. რელი-გიურად ურწმუნო
85. კუბის დედაქა-ლაქი
86. გიული ჭოხო-ნელიძე ფილმში
87. ნაძვის ხე გურიაში
88. ზღვის კომბოსტო
89. ძროხის ერთ-ერთი კუჭი
90. „... და ორმოცი ყაჩაღი“
91. რე-ჟისორი ბერნარდო ...
92. პოეტი ... მიცკე-ვიჩი
93. ბრონტე. „ჯეინ ...“
94. მზის სისტემის პლანეტა
95. ჩოგ-ბურთელი ... სამპრასი
96. ბალეტ-მაისტერი ვახტანგ ...
97. მოკლე პალტო
98. მსახიობი ჯენიფერ ...
99. ბერძ. ანბანის პირველი ასო
100. სამხედრო წოდება
101. მსახიობი ჰოლი ...
102. ვერდის ოპერა
103. მხ/ფ „...-ჰარბორი“
104. მწვერვალი ყირიმზე აი-...
105. შვედური ფულის ერთეული
106. კუს ჯავშანი
107. ფირმა „...-პარი“
108. შვედური საესტრად. ანსამბლი
109. უდაბნო მონღო-ლეთში
110. „ილიადა“ ქალაქი
111. საკუთარი თავის რწმენა
112. მსახიობი ... ბრინერი
113. დედა-მიწის თანამგ-ზავრი
114. ყაჩაღი ჭავჭავაძის პოემაში
115. შიშველი სხეულის მხატვ-რობაში
116. მსახიობი ... ტაილერი
117. სიგრძე და ...
118. ცირკის მოედანი
119. ... ხრენნი-კოვი
120. ირანში: ... ჰომეინი
121. ვირას საპირის-პირო ბრძანება
122. ქართველი მწერალი, მთარგ-მნელი და საზო-გადო მოღვაწე ივანე ...
123. მსახიობი ... კლოუზი
124. რევაზ ლაღიძის ოპერა
125. ქალაქი იაპონიაში
126. ყაიმი
127. ადგილი თვალის ქვეშ
128. მსახიობი ... მერფი
129. ფეხ-ბურთის „მეფე“
130. ძაღლის ჯიში
131. მსახიობი ... დეპი
132. მომ-ღერალი დიმა ...
133. აგენტი ჯეიმს ...
134. შინაური ცხოველი
135. შილა-ფლავის სანელე-ბელი
136. მდინარე ქუთაისში
137. პერის საცოლე (ფილმიდან)
138. მხარე ფინეთთან

პასუხები: 1. კორპორაცია; 2. კოლმეურნეობა; 3. კუალა-ლუმპური; 4. მარნეული; 5. ორქიდეა; 6. იმედა; 7. ეგოროვი; 8. ოპოსუმი; 9. ერთი; 10. კიო; 11. დინ; 12. ოპერა; 13. ალკაზარი; 14. მოლა; 15. ოპერაცია; 16. ცური; 17. ნიჟნი-ნოვგოროდი; 18. ვალუა; 19. რიურიკი; 20. იაკი; 21. ამნისტია; 22. რთველი; 23. მირაჟი; 24. კიმ; 25. რასტრელი; 26. მარიანა; 27. პიერი; 28. მაკ; 29. „არგონავტები“; 30. კიი; 31. „თხუნელა“; 32. ოთარაანთ; 33. ბერნი; 34. აზნაური; 35. კია; 36. ცუნამი; 37. ნინი; 38. ალაზანი; 39. სიმფეროპოლი; 40. მიქლიო; 41. სტარი; 41. ირტიში; 43. სტინგი; 44. ლიმუზინი; 45. მაზინა; 46. ლაიზა; 47. გაი; 48. ნო; 49. ფრირზი; 50. „ილიადა“; 51. სირანო; 52. მალაგა; 53. ნუგბარი; 54. ვენა; 55. ტრიტონი; 56. ბოტიჩელი; 57. ადრესი; 58. მარიონეტი; 59. მონგოლფიეები; 60. კატა; 61. კინგ-კონგი; 62. კაპიკი; 63. შონ; 64. ძუა; 65. დოლი; 66. სალტიკოვ; 67. გენა; 68. ხვიჩა; 69. ტომაჰავკი; 70. ეპიტაფია; 71. ოჩხამური; 72. კიტო; 77. ისპანახი; 78. ნილსი; 79. საჭე; 80. ზარანდია; 81. აკიმი; 82. სვე; 83. მული; 84. ათეისტი; 85. ჰავანა; 86. „ფატიმა“; 87. ჩიჩილაკი; 88. ლამინარია; 89. მაჭიკი; 90. ალიბაბა; 92. ადამ; 93. ეარი; 94. ვენერა; 95. პიტ; 96. ჭაბუკიანი; 97. მანტო; 98. ენისტონი; 99. ალფა; 100. ეფრეიტორი; 101. ბერი; 102. „რიგოლეტო“; 103. პერლ; 104. პეტრი; 105. კრონი; 106. ბაკანი; 107. ისი; 108. „აბბა“; 109. გობი; 110. ტროა; 111. რიხი; 112. იულ; 113. მთვარე; 114. კაკო; 115. ნიუ; 116. ლივ; 117. სიგანე; 118. არენა; 119. ტიხონ; 120. აიათოლა; 121. მაინა; 122. მაჩაბელი; 123. გლენ; 124. „ლელა“; 125. ნაგანი; 126. ფრე; 127. უპე; 128. ედი; 129. პელე; 130. პუდელი; 131. ჯონი; 132. ბილანი; 133. ბონდი; 134. თხა; 135. ძირა; 136. რიონი; 137. ანგელინა; 138. კარელია. იკითხება: პამელა ანდერსონი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## რუსი ახალგაზრდას პიცა... შეუყვარდა და დაქორწინებაც მოისურვა



ადამიანის სიყვარული რთული და დროებითია. აი, საკვების კი სამუდამო. რა უნდა გაგიკეთოს პიცამ ისეთი, რომ შეიძულო და მასზე უარი თქვა? ჰოდა, 22 წლის ახალგაზრდამაც გადაწყვიტა, რომ მეტისმეტად მარტო და უსიყვარულოდ იყო. მის ირგვლივ კი უპრობლემო და ლაღი სიყვარული არავის ჰქონდა, ამიტომ გადაწყვიტა, მოდი, ისეთ ცოლს შევირთავ, რომ თავისი ერთგულებით ყველა გააკვირვოსო.

– მოულოდნელად მივხვდი, რომ მარტო ვიყავი. ჩემი მეგობრების ნაწილი დარდობს, რომ შეყვარებულთან პრობლემები აქვთ. მეორე ნაწილი კი დარდობს, რომ სიყვარული საერთოდ არ აქვს. ადამიანებს შორის სიყვარული რთული და არამდგრადია, პიცის სიყვარული კი მარადიული. აი, რატომ ავირჩიე პიცა, – ამბობს შეყვარებული გურმანი.

მმაჩის ბიუროში, რა თქმა უნდა, არ მისცეს უჩვეულო ქორწინების ნება. თუმცა წყვილის ბედნიერებისთვის ამას ხელი არ შეუშლია – ქორწინების მოწმობა „პატარძლის“ დამამზადებელმა კომპანიამ გასცა.

უცნობია, ქორწინების შემდეგ „პატარძალმა“ რამდენი ხანი იცოცხლა, მაგრამ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ უგონოდ შეყვარებულმა ქმარმა ცოლი სიყვარულით შთანთქა.

*tomsk.kp.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## სიზარმაცე თანდაყოლილი თვისებააო



მაინც რა კარგი რამ არის მეცნიერება, ყველაფერს გამართლებას მოუძებნის და ალიბის პირდაპირ ხელში მოგართმევს.

ბრიტანელი მეცნიერები გვეუბნებიან, რომ არ უნდა დავადანაშაულოთ ზარმაცი ადამიანები. მათ იმაზე ცუდად აქვთ საქმე, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ზოგს ერთ დღეში ათი დღის საქმის გაკეთება შეუძლია, ზოგი კი ერთი დღის საქმეს ვერ აკეთებს ათ დღეში. ეს იმიტომ, რომ ტვინის ის ნაწილი, რომელიც აქტიურობასა და კოორდინაციაზე აგებს პასუხს სუსტად არის განვითარებული. ეს შესაძლოა იყოს როგორც გენეტიკური, ისე თანდაყოლილი.

რა თქმა უნდა ზარმაც ადამიანებს შეუძლიათ იმუშაონ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენად რთულია მათთვის იმის გაკეთება, რაც სხვებისგან არანაირ ზედმეტ ძალისხმევას არ მოითხოვს. ვიღაც შეიძლება საქმის გარეშე ვერ ძლებდეს, ვიღაცისთვის კი, ყოველი ახალი საქმე ძალიან მძიმე ტვირთი იყოს.

მშრომელებო, იცხოვრეთ და იმუშავეთ ზარმაცებისთვის. ეს უმაღლესი ჰუმანური პრინციპია, რათა არ მოხდეს მათ ფიზიკურ თუ გონებრივ ძალაზე ზეწოლა, რათა თქვენი ოფლით მაქსიმალურ კომფორტში აცხოვროთ.

*myjane.ru*



მოხუცი ქმარი ცოლს:

– რას წერ, დედაკაცო?

– ისეთს არაფერს, შვილებს ვწერ, რომ უკვე კარგად ხარ... ისე, დამეხმარე შენც – რომელი ჯობია, რომ დავწერო: „დაკრძალვა“ თუ „დამარხვა“?

*****

ექვმიტანილის ჩვენება:

– მორიგეობიდან სახლში დილით დავბრუნდი. მივხვდი, რომ ცოლს საყვარელი ჰყავდა. გადავიხედე ფანჯრიდან, დავინახე, გარბის ეს არამზადა! ავიღე და კარადა ვესროლე...

დაზარალებულის ჩვენება:

– როგორც ყოველთვის, იმ დილითაც ვვარჯიშობდი და უცბად თავზე კარადა დამეცა, სიკვდილს ძლივს გადავურჩი...

მოწმის ჩვენება:

– ესე იგი, ვზივარ კარადაში...

*****

– ძვირფასო, როგორ ქალებს ანიჭებ უპირატესობას: ჭკვიანებს თუ ლამაზებს?

– არც ერთს და არც მეორეს! ხომ იცი, მე მხოლოდ შენ მიყვარხარ!

*****

– მესამე დღეა, წვიმს... ცოლს დეპრესია აქვს და დაუსრულებლად ფანჯარაში იყურება... თუ წვიმამ ხვალ არ გადაიღო, იძულებული გავხდები, ცოლი სახლში შემოვუშვა...

*****

ნუდისტურ პლაჟზე:

– გოგონი, მე თქვენ ძალიან მომწონხართ!

– ჰო, ვხედავ...

*****

– თუ ადამიანს ცეცხლს წაუკიდებ, დაიწყებს ყვირილსა და სირბილს... თუ ადამიანს „აიფონ 5“-ს აჩუქებ, დაიწყებს ყვირილსა და სირბილს. ამოცანა გვეკითხება: რატომ დავხარჯოთ ზედმეტი?!

*****



– ბებიკო, შენით მოხვედი?

– კი, შვილო, ჩემით. რატომ მეკითხები?

– რა ვიცი, დედიკომ თქვა, რა ეშმაკმა მოიყვანაო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## როგორ გავხდეთ ნამდვილი ქალი



იყო ქალი – ეს უკვე ხელოვნებაა. ყველა ქალს თავის მოწონების საკუთარი ხრიკი აქვს. ყველა ქალს აქვს განსაკუთრებული ხიბლი, რომელიც სხვებისგან გამოარჩევს, მაგრამ ყველაზე კარგად ქალს მაინც მოდის შემქმნელები იცნობენ. სწორედ, მათ რჩევებს გთავაზობთ, რომელთა გათვალისწინებითაც ნაკლის ღირსებად გადაქცევას შეძლებთ.

– ნამდვილი ქალი მავნე და პრეტენზიული უნდა იყოს – კრისტიან დიორი.

– ქალისთვის ასაკი არ არის ყველაზე მთავარი. შეიძლება 20 წლის ასაკში მიმზიდველი იყო, 40 წლის ასაკში მომხიბვლელი და თვალწარმტაცი სიცოცხლის ბოლომდე – კოკო შანელი.

– ხელები ქალის სავიზიტო ბარათია, ყელი პასპორტი, მკერდი საზღვარგარეთის პასპორტი – კოკო შანელი.

– ფეხსაცმლის არჩევაზე ზრუნვა ზედმეტი არასოდეს არის. ძალიან ბევრი ქალი ფიქრობს, რომ ეს უმნიშვნელოა. სინამდვილეში კი ელეგანტურობის მტკიცებულება არის ის, რა აცვია ქალს ფეხზე. – კრისტიან დიორი.

– ქალის საუკეთესო, მოდური აქსესუარი ლამაზი მამაკაცია – კოკო შანელი.

– ნუ ჩაუღრმავდებით ტენდენციებს. არ მისცეთ მოდას თქვენზე ბატონობის უფლება. თავად გადაწყვიტეთ, ვინ ხართ და საკუთარი ტანსაცმლით რის თქმა გინდათ – ჯანი ვერსაჩე.

– საკვების ყოველი ნაჭერი პირში ორი წუთი ჩერდება, კუჭში ორი საათი, ხოლო წელზე ორი თვე – კრისტიან დიორი.

– იყო ელეგანტური, არ ნიშნავს ჩაუვარდე თვალებში, ეს ნიშნავს, დარჩე გონებაში – ჯორჯო არმანი.

– სუნამო – ქალური ინდივიდუალიზმის იდუმალი ჩრდილი, ეს იმიჯის უკანასკნელი შტრიხია – კრისტიან დიორი.

– აქსესუარების არჩევისას მოიშორეთ ის, რომელიც ბოლოს გაიკეთეთ – კოკო შანელი.

– როგორ იმოსებით ნიშნავს იმას, როგორ წარუდგენთ მსოფლიოს თავს. განსაკუთრებით ახლა, როცა ადამიანებს შორის კონტაქტი ასეთი სწრაფი გახდა – მიუჩა პრადა.

– თუ ულამაზო ფეხები გაქვთ, ღრმა დეკოლტე ჩაიცვით – კრისტიან დიორი.

– ყოველთვის ჩაიცვით ისე, თითქოს უკან სამი მამაკაცი მოგყვებოდეთ – ოსკარ დე ლა რენტა.

– თქვენ არ შეგიძლიათ გააყალბოთ ბეწვი, მაგრამ შეგიძლიათ, ბრწყინვალედ გამოყურებოდეთ ყალბ ბეწვში – კარლ ლაგერფელდი.

– არ არსებობს ულამაზო ქალი, არსებობენ ზარმაცები – კოკო შანელი.

– რაც უფრო ცუდად აქვს გოგოს საქმე, მით უფრო კარგად უნდა გამოიყურებოდეს – კოკო შანელი.

– ფეხსაცმელი თქვენი სხეულის ფორმასა და პოზას გარდაქმნის. ის გამაღლებს როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად – კრისტიან ლუბუტინი.

– კარგად დაჭრილი კაბა ნებისმიერ ქალს უხდება. წერტილი! – კოკო შანელი.

– სილამაზეზე ზრუნვა სულითა და გულით უნდა დაიწყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერანაირი კოსმეტიკა ვერ დაგეხმარება – კოკო შანელი.

– იყიდეთ ნაკლები, აირჩიეთ საუკეთესო და ეს თავად გააკეთეთ – ვივიენ ვესტვუდი.

– უფრთხილდით ორიგინალურობას. ორიგინალურობამ შეიძლება მასკარადი გამოიწვიოს – კოკო შანელი.

– არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც ძალიან ძვირფასი კოსტიუმი – კოკო შანელი.

*mainfun.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## პენსიონერებმა პოლიცია საჭოროდ გამოიძახეს



დიდი ბრიტანეთის ქალაქ მიდლტონის პოლიციაში უცნაური ზარი დაფიქსირდა. პენსიონერი წყვილი ჩიოდა, რომ მარტოსულად გრძნობდნენ თავს და ვინმესთან კონტაქტი სჭირდებოდათ.

პოლიციელებმაც არ დააყოვნეს და მოხუცებს ჩაის დასალევად ესტუმრნენ. ნახევარი საათი დარჩნენ, ისაუბრეს, ამ მთისა და იმ ბარის ამბები მოყვნენ და კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. კითხვაზე აქვს თუ არა პოლიციის თანამშრომელს სამუშაო დროის ჭიქა ჩაიზე ხარჯვის უფლება, ერთ-ერთი თანამშრომელი, ენდი რიჩარდსონი ასე პასუხობს: „პოლიციელების მოვალეობა მხოლოდ დამნაშავეების დევნა არ არის. ჩვენ ვალდებული ვართ დავეხმაროთ ხალხს ყველანაირად, როგორც შევძლებთ“. ბედნიერი პენსიონერი კი აღნიშნავს, რომ სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ სულერთი არ ხარ და ვიღაც ზრუნავს შენზე.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ტკბილეული ადამიანს აიძულებს, უფრო ხშირად იკვებოს



ტკბილეული დესერტად დაიტოვეთ. ნუ გადაწყვეტთ მისით დანაყრებას, თორემ ვერც დანაყრდებით და მთელ დღეს ჭამას დაუთმობთ.

ჯორჯიის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ექსპერიმენტის საშუალებით დაამტკიცეს, რომ ტკბილეული ადამიანს უფრო ხშირად ჭამას აიძულებს, რადგან იგი ტვინზე ახდენს გავლენას.

თურმე, ტკბილეულის მიღების შემდეგ გარკვეული ნეირონები ითიშება, ამის გამო ორგანიზმი მეხსიერებას კარგავს და მუდმივად კვებას მოითხოვს. იქმნება ილუზია, თითქოს ორგანიზმი დაუნაყრებელია და ისევ და ისევ კვება სჭირდება.

ამიტომ არის, რომ ტკბილეულის მოყვარულები მთელი დღის განმავლობაში მიირთმევენ დესერტებს.

*myjane.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ბავშვისთვის მამის ყურადღება უფრო ფასეულია, ვიდრე დედის?



ეს ინფორმაცია ერთდროულად სასიამოვნოცაა მამაკაცებისთვის და სამწუხაროც. სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც ეწინააღმდეგება ქალებში ფართოდ გავრცელებულ პოპულარულ მოსაზრებას, რომ შვილებისთვის დედაა მთავარი. სამწუხარო კი იმიტომაა, რომ რაც არ უნდა სექსიზმში დაგვდონ ბრალი, ჩვეულებრივ, მამაკაცი გაცილებით ბევრს მუშაობს, ვიდრე ქალი და შესაბამისად, შვილს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს.

კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების მხრივ, მამის ყურადღება და სიყვარული გაცილებით დიდ როლს თამაშობს, ვიდრე დედის. ასევე, მამის უყურადღებობა ბავშვს უფრო მეტად უკლავს გულს და აზარალებს, ვიდრე ეს დედის შემთხვევაში ხდება. სანამ აღნიშნულ დასკვნას გამოიტანდნენ, ამერიკელმა სპეციალისტებმა ორივე სქესისა და სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების დაახლოებით 10 ათასი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს.

მიზეზად, რატომ აფასებს უფრო მეტად ბავშვი მამის სიყვარულს, სპეციალისტები იმას ასახელებენ, რომ ბევრ კულტურაში მამაკაცის მდგომარეობა გაცილებით პრესტიჟულია – ითვლება ოჯახის უფროსად, აქვს უფრო დიდი ავტორიტეტი, ვიდრე ქალს. ამდენად, ბავშვი მამის ყურადღებას აღიქვამს, როგორც მის აღიარებას და დაფასებას.

*dr20.ru*

## ბროკოლი ნაოჭების კრემს შეგიცვლით



სამსახურიდან სახლში გადაღლილი რომ დაბრუნდები და ცოლი ბროკოლისგან მომზადებულ კერძს რომ დაგახვედრებს, გული არ შეგიწუხდება კაცს? მაგრამ საყვედურებზე სანამ გადახვალთ, ცნობილი გამოთქმა გაიხსენეთ: „სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს“. ჰოდა, თუკი გსურთ, რომ ლამაზი ცოლი გყავდეთ, მსხვერპლის გაღება თქვენ მოგიწევთ, მამაკაცებო. რატომ და იმიტომ, რომ როგორც ესპანელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, ბროკოლი კანის დაბერების პროცესს აფერხებს. აქედან გამომდინარე, თუკი გსურთ, რომ საყვარელ მეუღლეს მომხიბვლელობა არ დაეკარგოს, ბროკოლის ჭამასაც უნდა დასთანხმდეთ. ბოლოს და ბოლოს, პროდუქტი ხომ მამაკაცების კანზეც ანალოგიურად მოქმედებს?

კვლევის შედეგად ესპანელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ბროკოლი გამოირჩევა შესანიშნავი თვისებით, შეაფერხოს კანის დაბერება და ასევე, დააჩქაროს დამწვრობების შეხორცება.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კომბოსტოს ეს სახეობა სხვა კიდევ ბევრი დადებითი თვისებით გამოირჩევა. კერძოდ, ბროკოლი მდიდარია უჯრედისებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით. შესანიშნავი საშუალებაა გულისა და ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისთვის. ასევე, ბროკოლი უნდა მიირთვან ადამიანებმა, რომლებსაც შეკრულობა აწუხებთ და ასე შემდეგ.

*myjulia.ru*

## ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა... მეორე ქორწინება



ადამიანთან სასიყვარულო ურთიერთობაზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ ცოლს ან ქმარს გაშორებულია, მართლაც ძალიან დიდი სისულელე და უაზრობაა. ბედნიერების უფლება ყველას აქვს და მათ შორის, გათხოვილ-გამოთხოვილსაც და დაქორწინებულ-გამოქორწინებულსაც. მით უმეტეს, რომ მეორედ გათხოვება თურმე, ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს, განსაკუთრებით კი – ქალის ჯანმრთელობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტებმა გამოკითხვა და გარდა ამისა, სამედიცინო ბარათების ანალიზი ჩაატარეს. შედეგად დაადგინეს, რომ უმეტეს შემთხვევაში, მეორე ქორწინება ქალზე პოზიტიურად მოქმედებს. კერძოდ, უმჯობესდება გულსისხლძარღვთა სისტემა და შესაბამისად, სიცოცხლე უფრო ხანგრძლივი ხდება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მამაკაცებს გული არ უნდა დასწყდეთ, რადგან მეორე ქორწინება მათზეც არანაკლებ დადებითი გავლენას ახდენს.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**17 ნოემბერი:** შეეცადეთ, დღეს გული არაფერზე დაიწყვიტოთ, შეძლებისდაგვარად იმხიარულეთ. მნიშვნელოვან საქმეებზე არც კი იფიქროთ, საეჭვოა, რამე გამოგივიდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**17 ნოემბერი:** კარგი დღე უნდა იყოს, იღბალი თქვენს მხარესაა. ძველი საქმეები გადადეთ და შეეცადეთ, ახალი იდეები განახორციელოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**17 ნოემბერი:** თქვენ გვერდით ყოფნა რთული იქნება. ვინც ამას გაუძლებს დიდი გამოცდის გავლა მოუწევს. სამაგიეროდ, გაიგებთ, ახლობლებიდან ვისთვის ხართ ძვირფასი.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**17 ნოემბერი:** თუ შესაძლებლობა გაქვთ, ახლობლებს დაეხმარეთ და ამაგი არ დაგეკარგებათ. საამისოდ დრო აუცილებლად გამოგიჩნდებათ.

**ლომი 23.07-22.08**
**17 ნოემბერი:** დამნაშავეთა ძებნაზე დროს ნუ დაკარგავთ, მით უმეტეს, სიტუაცია იმაზე რთულად იქნება, ვიდრე წარმოგიდგენიათ. გაუაზრებლად არ იმოქმედოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**17 ნოემბერი:** უამრავი საქმე გექნებათ, მაგრამ დროში ვერ ჩაეტევით. არ აღელდეთ, მსგავსი სიტუაცია უკვე გავლილი გაქვთ და ამჯერადაც გაუმკლავდებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**17 ნოემბერი:** ნუ იქნებით ზედმეტად გულუხვი, მავანი თქვენი კეთილგანწყობით ბოროტად ისარგებლებს და შეიძლება ნებაყოფლობითი სიკეთე ვალდებულებად გიქციოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**17 ნოემბერი:** შეეცადეთ, ეს დღე თქვენს პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას დაუთმოთ. ყველაფერი, რასაც სხვების სასიკეთოდ გააკეთებთ, ასმაგად დაგიბრუნდებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**17 ნოემბერი:** სტუმართმოყვარე და გულუხვი იქნებით. რომც არავინ დაპატიჟოთ, მაინც სტუმრიანობა გექნებათ და ყველას კმაყოფილს გაისტუმრებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**17 ნოემბერი:** შეეცადეთ, ნერვები მოთოკოთ და პროვოკაციას არ წამოეგოთ. შეიძლება ეს ადვილი არ იყოს, მაგრამ სხვა გზა არ გაქვთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**17 ნოემბერი:** ყველაფერი, რაც თქვენს გარშემო ხდება, საწყის სტადიაშია. თუ მოინდომებთ, სიტუაციაში ცვლილებების შეტანას შეძლებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**17 ნოემბერი:** შეიძლება მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდეს, რომ გეგმების განხორციელებაში ხელი შეგეშალოთ. ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გმართებთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)
ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## კატებს კოცნით? კბილები დაგცვივდებათ!



შინაურ ცხოველებთან ახლო ფიზიკური კონტაქტი რომ საზიანოა ჯანმრთელობისთვის, არახალი ამბავია, თუმცა ამ შემთხვევაში ინფექციებით და მსგავსი დაავადებებით გულს არ გაგიხეთქავთ და შედარებით მსუბუქ უსიამოვნებაზე გაგაფრთხილებთ.

სტომატოლოგების რჩევაა, ვინც შინაურ ცხოველებს უვლის, გაცილებით თავშეკავებით მოეფერონ ოთხფეხა მეგობრებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ კატის ან ძაღლის კოცნამ ადამიანი შესაძლოა, კბილების დაცვენით „დააჯილდოოს“.

ბაქტერიები, რომლებიც ღრძილების ანთებას იწვევს, თითქმის ყველა შინაური ცხოველის ნერწყვში იმალება. როცა პატრონი მათ კოცნის, დასნებოვნების ალბათობა თითქმის 100 პროცენტით მატულობს.

საინტერესოა, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია თითქმის ერთდროულად გაავრცელეს ამერიკელმა და იაპონელმა სპეციალისტებმა.

და კიდევ ერთი, კვლევის ავტორებმა დაადგინეს, რომ ღრძილების ანთების გამომწვევი ბაქტერიები „ორივე მხარეს“ გადაიცემა – როგორც ცხოველიდან ადამიანზე, ისე ადამიანიდან ცხოველზე.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– საახალწლო სურვილებთან ფრთხილად უნდა იყო!
– რატომ?
– შარშან ერთმა ბანკირმა თოვლის ბაბუას ხუმრობით ორი ქალწული სთხოვა.
– მერე?
– რაღა მერე – მდივანმა ტყუპი გოგო გაუჩინა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია »211359457 კვირის ქრონიკა
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.05